№ 2919
ოთხშაბათი
28 სექტემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2919
ოთხშაბათი
28 სექტემბერი

გაზეთი ღირს: წლიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—5კ., დამატებით—6 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანკის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ზომით ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

იშვიათი ვაჭრობა
„ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის"
ამხანაგობა
ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გამოვიდა და რადგან საქმის მოწესრიგება საჭიროა, ამა თვის 11-დან დაინიშნა.
ვაჭრობა
მაღაზიაში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი.
100,000 მანეთისა.
ყველი საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჰყდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება ამისი ნაკლები ფასები დაინიშნოს, რასაც იქვ გაშრობის დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ.
საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით უეჭველ კონკურენციის გარეშეა.
ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.
ფასები შეუვაჭრებლად.
ამხანაგობა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—201)

ქ. ქუთაისში, (ოსპირის ქუჩაზე მღვდ. კაპანაძის სახლში) გვახსენი
✦ სკოლა და სახელოსნო ✦
ჭრა-კერვის ხელ-საქმის და ჩულქის ქსოვისა
(საქსოვ მანქანაზე). ვიყვან შეგირდებს ხელმისაწვდომ ფასებში. ვიღებ ქალთა ტანსაცმელებს შესაკერად.
სკოლის გამგე ლ. გ. ლომაძის ასული. (3—2)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით ელისავეტინსკაია ქუჩა, 101, ტელ. 1026
მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი
მ. ზ. ალაჯანოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.
ი. ნ. იმიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფებინი; ელექტრონით წამლობა.
პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. ა. ტატიშოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვის ავადმყოფობანი.
ი. ი. ამბტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. პ. ქიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
პ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგეობით. სტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—12)

ექიმი
დ. გედევანიშვილი.
დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და იღებს ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე შინაგან და ნერვიან ავადმყოფებს და ექიმობს ელექტრონით.
ადრესი: კიროჩნი ქუჩა, საზაფხულო კლუბის პირდაპირ, სახლი მარტინოვსკის. ტელეფონი № 1056. (თვ.—328—26)

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მურადოვი
ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10-დან 11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1, ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 7111. (50—368—4)

ექიმი
მ. ი. ტერ-გრიგორიანცი
იღებს შინაგან (სპეციალურად ფილტვის) ავადმყოფებს და ბავშვებს. გაშინჯვა და მკურნალობა რენტგენის სხივებით. ავადმყოფები მიიღებიან დილით 10—12 საათ. და საღამოთი 5—7 საათზე. მიხეილის პროსპ. № 154. (თვ.—371—6)

კბილის ექიმი
ი. ზ. ქანდელაკი.
გადავიდა ახალ ბინაზე მიხეილის პროსპექტი, № 44, სახლი აბულაძისა.
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს, ხსამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე. (თვ. 80—6)

ექიმი
პ. ა. არდაზიანი
იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს დილ. 7—8 ს. და 4—7 ს. საღ. აქვე სწარმოებს ქიმიკომიკროსკოპიული გამოკვლევა.
ადრესი: ელისაბედის ქ. № 160. (30—27)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი ავალიშვილისა № 11.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (წლ.)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 5—7 ს.-მდე ყარლანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791. (წ.)

ყუმბარების სროლა

„კავკაზ"-ში 25 სექტემბერს მომხდარ ამბების შესახებ დაბეჭდილია:

„კვირას, 25 სექტემბერს, ქალაქ ტფილისში გაისროლეს ცხრა ყუმბარა. პირველი ყუმბარა ისროლეს საღამოს 7 საათსა და 20 წუთზე ორთაჭალაში პოლტავის ყაზახთა სოტნის ყაზარმებთან. ესროლეს ყაზახთა რაზმს. ყუმბარისაგან დაიჭრა ერთი ყაზახი და სამი სალდათი ტფილისის პოლკისა, ადგილობრივ კამანდისა და ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკისა; დაიჭრა აგრეთვე რამდენიმე გარეშე კაცი, მათ შორის არტემ საბოვი, რომელიც ამ ჟამად საავადმყოფოშია. მსუბუქად დაჭრილნი მიხაილ ფარაჯანოვი, სისაკ სააკოვი და სარქის ხარაზოვი მიხეილის საავადმყოფოში ჭრილობის შეხვევის შემდეგ, შინ წავიდნენ. მეორე ყუმბარა, იქვე გასროლილი, არ გასქდა. შეიპყრეს რამდენიმე კაცი, მათ შორის ავაქ არუშანოვი, რომელმაც ყუმბარა გაისროლა.

ყუმბარა გაისროლეს აგრეთვე ბროსსეს ქუჩაზე (მესამე საპოლიციო ნაწილი). აქ ოთხი ყუმბარა გასქდა. ბოროტ-მოქმედნი მისულან ყაზახთა ნაწილის ყაზარმასთან, რომელიც საპიორის ბატალიონის ყაზარმის უკან არის, და ალაყაფის კარებიდან ეზოში ზედი-ზედ ოთხი ყუმბარა შეუგდიათ. გამსქდარ ყუმბარის ნატეხებით დაიჭრნენ ყაზახები მაქსიმ შელუტკო და კუზმა სერედა. ეს უკანასკნელი 25 სექტემბრის ღამეს საავადმყოფოში მოკვდა. ყაზახები გარედ გავარდნენ და დაედევნენ გაქცეულთ, რომელთაც ეტლი უცდიდათ; ამასთან სროლაც დაუწყეს. თავის მხრივ ბოროტ-მოქმედებმა რევოლვერებით ასტეხეს სროლა. ყაზახებმა ერთი იქვე მოჰკლეს და უნახეს ყუმბარა. ორი-კი ეტლში ჩაჯდა და გაიქცა, ამათ მსუბუქად ხელში დასჭრეს ერთი ყაზახი. დევნისა და სროლის დროს დაშავდნენ შემთხვევით გამვლელნიც. სასიკვდილოდ დაიჭრა და მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა ლიუტერანთა ობერ-პასტორი მიულლერი, მძიმედ ზურგში დაიჭრა და წუხელ უკვე გარდაიცვალა სახაზინო თეატრის რეჟისორის თანაშემწე მიხეილ ბოიარსკი, რომელიც ქუჩას გადადიოდა სახაზინო თეატრთან. დაიჭრა აგრეთვე ქუჩაში მიმავალი ალექსანდრე ფარმაზანოვი, მსუბუქად მუცელში დაიჭრა ზაქარია კოკოლაშვილი და თავში—კარაპეტ გრიქუროვი. ესენი, ჭრილობის შეხვევის შემდეგ, შინ წავიდნენ. ამას გარდა ბროსსეს ქუჩაზე მოკლულ იქნა სამი უცნობი კაცი, რომელთა გვამებიც მიხეილის საავადმყოფოს საანატომიო განყოფილებაში წაიღეს. ნაშუადღამევის პირველ საათზე ბროსსეს ქუჩაზე, ყაზახთა და საპიორის ბატალიონის ყაზარმებს შუა პოლიციამ იპოვა გატენილი, მაგრამ არ გავარდნილი ყუმბარა.

ამ ორ ადგილის გარდა ყუმბარები გაისროლეს ერმოლოვის ქუჩაზედაც, სასახლის გვერდზე, იქ, სადაც ნამესტნიკის კონვოის ყაზახთა ყაზარმებია. როდესაც აქაურმა ყაზახებმა ბროსსეს ქუჩიდან ყუმბარისა და სროლის ხმა გაიგონეს, ერმოლოვის ქუჩაზე გამოცვივდნენ. მაგრამ იმ დროს, როდესაც ყაზახები, ბრძანების თანახმად, მოტრიალდნენ, ზურგი ნამესტნიკის ბაღს შეაქციეს და ყაზარმებისკენ გაემართნენ, გავარდა ყუმბარა, რომლის ნამტვრევებისაგან იქვე მოკვდა ყაზახი ბურლიაევი და დაიჭრა 12 ყაზახი: შახოტინი, ვიხმანცევი, კურკინი, კორობი, ტკაჩევი, ლუცენკო, არტიუხი, სიდილო, პახომოვი, რაზდოლსკი, გორდიენკო და კუზნეცოვი. ამათგან სამი მძიმედ დაიჭრა, დანარჩენნი მსუბუქად. შახოტინი, კორობი და ტკაჩოვი წაიყვანეს მიხეილის საავადმყოფოში, დანარჩენნი—სამხედრო ჰოსპიტალში. როგორც ეტყობა, ბოროტ-მოქმედი უნდა დაჭრილიყოს, რადგან სისხლის წვეთები მისდევს იმ ადგილიდან, სადაც აფეთქება მოხდა პეტრე დიდის ქუჩასა და თავად-აზნაურთა კერძო გიმნაზიამდე. პეტრე დიდის ქუჩიდან მიხეილის საავადმყოფოში მიიყვანეს ამ აფეთქების დროს დაჭრილი ოვაკიმ სოგომონიანცი.

ყუმბარის აფეთქების შემდეგ ბროსსეს ქუჩაზე, „ბრისტოლის" სასტუმროდან, რომელიც სახაზინო თეატრის პირდაპირაა გოლოვინის პროსპექტზე, და აგრეთვე ანანოვის, ლომბრიანსკის და სხვათა სახლის სახურავებიდან ვიღაცებმა რევოლვერები დაუშინეს პატრულს. ამათაც სროლითვე გასცეს პასუხი, მაგრამ ამ სროლის დროს არავინ დაჭრილა. გოლოვინის პროსპექტზე ამ დროს ხალხი დასეირნობდა. ნაწილი ხალხისა სახაზინო თეატრისკენ გაიქცა, ნაწილი კიდევ აქეთ-იქით გაიფანტა. წარმოდგენა სახაზინო თეატრში გადაიდო.

გუშინ, 26 სექტემბერს, მეორე პარალელის ქუჩასა და ლაბორატორიის ვიწრო ქუჩაზე იპოვნეს ორი ყუმბარა. როგორც ეტყობა, ეს ყუმბარები წინა ღამეს გაქცეულ ბოროტ-მოქმედთ დაუგდიათ ქუჩებში იმ დროს, როდესაც ამ უბანს ჯარი შემოერტყა".

ახალი ამბავი

✦ როგორც გავიგეთ, ნამესტნიკის საბჭო საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ საკითხის განხილვას პირველ დეკემბერს ადრე ვერ შეუდგება.

✦ 26 სექტემბერს ტფ. საბჭოს ხმოსანთა დეპუტაცია იყო გენერალ-გუბერნატორს ბ-ნს ქოლიაბთან. დეპუტაციამ გადასცა ხმოსანთა უკანასკნელ თათბირის რეზოლიუცია, რაზედაც გენერალ-გუბერნატორმა განაცხადა, რომ 25 სექტემბერს მომხდარ ამბის შემდეგ ვერ შევიწყნარებთ შუამდგომლობას ომიანობის დროის და გაძლიერებულ დაცვის წესების გაუქმების შესახებ; თუ ხმოსნები არსებულ პირობებში თანამდებობის აღსრულებას არ განაგრძობენ, შეუძლიანთ სამსახურს თავი გაანებონო.

✦ 26 სექტემბერს გენერალ გუბერნატორმა მოსწერა ქალაქის მოურავის მოადგილეს თავ. ვ. ნ. [illegible]: წინადადებას გაძლევთ სამის დღის განმავლობაში წარმომიდგინოთ სია იმ ხმოსნებისა, რომელთაც სამსახურს თავი გაანებეს და აგრეთვე სია ქალაქის გამგეობის წევრთა და აღმასრულებელ კომისიების თავმჯდომარეთა.

✦ გუშინ-წინ ტფ. გენერალ-გუბერნატორმა ქალაქის მოურავის მოადგილეს მოსწერა: წინადადებას გაძლევთ, გამოაცხადოთ ჩემთან მოსალაპარაკებლად გამგეობის ის წევრი, რომელსაც მინდობილი აქვს ჯარისთვის ბინების დაქირავების საქმე. ამას წინად საგუბერნიო მთავრობამ უკვე დაავალა გამგეობას დაიქირაოს სადგომები მუდამ მოდარაჯე პატრულებისათვისაო. გამგეობამ ეს წინადადება უარჰყო რადგან, გამგეობის აზრით, კანონით ამგვარ ბინის დაქირავებისათვის ქალაქმა ფული არ უნდა გაიღოს.

✦ რადგან ამ ბოლო დროს მიხეილის საავადმყოფოს ბევრი ავადმყოფი და დაჭრილი მიაწყდა, საექიმო გამგეობამ წინადადება მისცა ქალაქს, ერთი-ერთი სამკურნალო მოაწყოს, რომ მიხეილის საავადმყოფოდან შინაგან სნეულებით ავადმყოფნი იქ მოვათავსოთო.

✦ ხმა დადის, პირველ დეკემბერს ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ივანოვსკი სხვაგან გადაჰყავთო. კანდიდატებად ასახელებენ იმიერ-კასპიის რკინის გზის უფროსად ნამყოფს გენერალ ხორვატს და ინჟენერს გიორგი ანდრონიკაშვილს.

✦ დილომში გაჩენილა ავაზაკთა ბრბო. ბრბო დასცემია გაბაშვილის, შიოევისა და ყავრიშვილის სახლებს. ბრბოს გაურეკია გაბაშვილის საქონელი, 45 სული, აგრეთვე საქონელი შიოევისა და წაურთმევიათ იარაღი ყავრიშვილის მოსამსახურეთათვის. ბრბოს შესაპყრობად წასულა ბოქაული სტრაჟნიკებით.

✦ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელმა საზოგადოებამ გამგე კომიტეტის თავმჯდომარედ ამოირჩია ერთხმად კნ. მ. ვ. ჯამბაკურიან-ორბელიანისა, ხოლო წევრებად—ვ. რ. ყიფიანი, ალ. სარაჯიშვილი, ივ. ზურაბიშვილი, ნ. ზ. ცხვედაძე, და ალ. ყანჩელი. ერთი წევრი ამოურჩეველი დარჩა.

✦ გუშინ საქართველოს ეგზარხოსს და ბ-ნ სულთან-კრიმ-გირეისთან იყო იმერეთის სამღვდელოების დეპუტაცია, რომელშიაც არიან მღვდლები ლომაძე, წერეთელი და ფოფხაძე. დეპუტაციამ ეგზარხოსსა და სულთან-კრიმ-გირეის აუწყა იმერეთის სამღვდელოების საჭიროებანი.

✦ განზრახულია კახეთის გზაზე, ორხევის მიდამოებში (ტფილისიდან 8—10 ვერსია) ახლად გადმოსული რუსის გლეხები დაასახლონ. ადგილები უკვე დაგეგმილ-დაყოფილია და ამ ჟამად წყალს იკვლევენ.

✦ გუშინ ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის ინსპექტორად ნამყოფი ბ-ნი გამყრელიძე, რომელიც პირველ გიმნაზიის დირექტორად დაინიშნა, გამოეთხოვა თავის ამხანაგებს და მოსწავლეებს. მოსწავლეებმა დიდის ამბით და მუსიკით გააცილეს გამყრელიძე და ასე დილის $9^{1}/_{2}$ საათი იქნებოდა, როდესაც უკან, თავიანთ გიმნაზიაში დაბრუნდნენ. მიხეილის ქუჩაზე ჯგუფად მიმავალმა მოსწავლეებმა მუსიკა დაუკრეს. უეცრად მივარდნენ ყაზახ-რუსები და გაფანტეს მოსწავლეები. ამის შემდეგ მოსწავლენი გაეშურნენ გიმნაზიის სადგომში, კრება გამართეს, დაადგინეს, შესწყვიტონ სწავლა და 10 საათზე დაიშალნენ კიდეც. მოსწავლეებმა გიმნაზიის მთავრობას აცნობეს, რომ ამ პირობებში სწავლა არ შეგვიძლიანო.

✦ როგორც გავიგეთ, ტფილისის მაზრის სოფლების გლდანის და ქვემო ავჭალის დროებით ვალდებულ გლეხებს და ხიზნებს შუამდგომლობა აღუძრავთ უკანვე დაუბრუნდეთ ის ფული, რომელიც სასოფლო-სამეურნეო თანხისთვის გადაიხადეს და ხაზინაში ინახება.

✦ ახალციხის მაზრის სოფელ წყალთბილას დროებით ვალდებულ გლეხებს უთხოვნიათ ნამესტნიკისათვის, შემწეობა აღმოუჩინონ მებატონეებისაგან ადგილების გამოსყიდვის დროს და ამასთან გააუმჯობესონ მათი ყოფა-მდგომარეობა.

✦ როგორც გავიგეთ, ახალქალაქის მაზრის სათხინის სოფლის საზოგადოებას უარი განუცხადებია ხარჯის გაღებაზე ადგილობრივ სკოლის შესანახად. სამოსწავლო მთავრობას ადმინისტრაციისათვის უთხოვნია [illegible] მოსაკრებად.

✦ ბორჩალოს მაზრის სოფელ ყარაბულაღის მცხოვრებთ უთხოვნიათ მთავრობისათვის ტფილისის მაზრის სოფელ ხაშმში გადასახლება და იქ ადგილების დარიგება ნადელებად.

✦ თელავის მაზრის მცხოვრებნი: ვანო გივიშვილი, საბა ტოჩილაშვილი, ვარდო მამულაშვილი და ნასყიდა ხანდურაშვილი სხვა და სხვა საქმეებისათვის უმაღლეს მთავრობას ადმინისტრატიულის წესით შორს ქვეყნებში გადაუსახლებია.

✦ როგორც გვატყობინებენ, ხენაკის სასულიერო სასწავლებელში სწავლა შესწყდა.

✦ ახალქალაქის მაზრის ადმინისტრაციას შუამდგომლობა აღუძრავს, რომ ამ მაზრის რამდენსამე სოფლის მაჰმადიანებს ეპატიოთ ნედოიმკები სამხედრო საბეგრო გადასახადისა. ბევრი მათგანი სხვაგან გადასახლებულა.

✦ ეხლა გამოირკვა, რომ სასინოდო კანტორის ხაზინადარს, უკვე სახელ-განთქმულ არდაზიანს წინად აღნიშნულს გარდა 12,477 მანეთი კიდევ სხვა გაუფლანგავს. აქედან 4,300 მანეთი ზეს ფული ყოფილა ბ-ნ ე. ი. ხელაძისა, რომლის სტამბაშიაც კანტორის ქაღალდები და დავთრები იბეჭდება. ვინ იცის, იქმნება ამითიც არ გათავდეს „საქმენი საგმირონი" ყოფილ ხაზინადრისა!

✦ ტფილისის სავაჭრო სასწავლებლის ინსპექტორად დანიშნეს კორნილი კეკელიძე.

✦ საქმე ნაპოლეონ კახიანისა, რომელსაც ჰბრალდება რკინის გზის მთავარ სახელოსნოების მუშების „პატრიოტულ პარტიის" წევრთა მოწამვლა, ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია 3 ნოემბრისათვის.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობამ ახალ სამშობიარო სახლის გამგედ დანიშნა ექიმი ლ. მ. მონინი. სამშობიარო სახლი მოქმედებას 1906 წლის 1 იანვრიდან დაიწყებს.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ საყასბოს გამგედ, კანცელიარის ნაცვლად, დანიშნა ბეითალი ვ. ა. ვართანიანცი.

✦ ბორჩალოს მაზრის უფროსს შეუკრებია ცნობები იმ ზარალის შესახებ, რომელიც გლეხებს სეტყვისაგან მოსვლიათ, და უთხოვნია საგუბერნიო მთავრობისთვის შემწეობის აღმოჩენა.

✦ ტფილისის მაზრის სოფლების კესალოს და ნაზარლოს მცხოვრებ მაჰმადიანებს აგერ ოცდა ათი წლიწადი მეტია ყარაიაზის საბატონო მიწაზე იჯარით ჰქონიათ აღებული საზამთრო საძოვარი ადგილები. ეხლა-ხან მათ შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ, 1900 წლის ბორჯღ მასის უმაღლეს ბრძანების თანახმად, აღნიშნული ადგილები ნადელებად დაურიგდეთ.

✦ ტფილისის საქიმიო ლაბორატორიას წინადადება მიეცა შეუდგეს ტფილისის ქარხნებში დამზადებულ სასმელ წყლების გამოკვლევას.

✦ სასთუმლოთმა და სელდოინოვმა და სხვებმა, სულ 15 კაცმა, ქალაქის საქმეთა საკრებულოში ქაღალდი შეიტანეს. ესენი სწერენ, რომ ამას წინად მომხდარი არჩევნები მოქალაქეთა გამგეობის თანამდებობის კაცთა უკანონოაო.

ქუთაისის საგუბერნიო სათათბირო

19 სექტემბერი

საბჭოს სამაზრო სათათბიროს ოქმების წაკითხვის შემდეგ, რომელიც მხოლოდ წინა დღით მიიღო თავმჯდომარეს, ბ-ნმა გურიელმა დაახლოვებით შემდეგი სთქვა: „დავრწმუნდით, რომ თავმჯდომარე და მთავრობის წარმომადგენელნი წინააღმდეგნი იყვნენ ჩვენ მიერ შემუშავებულ რეზოლიუციისა, რომელიც კენჭის საყრელად წარმოვადგენეთ... ამ გვარად კრების უმეტესობის სურვილი უყურადღებოდ იქმნა დატოვებული... ჩვენ აქ ნებას არ გვაძლევენ თავისუფლად წარმოვთქვათ ჩვენი აზრი; ჩვენს რწმენასა და მისწრაფებას ოცნებას უწოდებენ, მაგრამ ეს სრულიადაც არ არის ოცნება; ეს მხნე მოთხოვნაა მუშა ხალხისა და პროლეტარიატისა, რომელიც ჩვენს ზურგს უკან კედელივითაა ამართული და მუდამ მზადაა სისხლი დაღვაროს თავის უფლებათა განსახორციელებლად... ჩვენი სათათბიროს ყველა წევრი არ არის ხალხის ნამდვილი წარმომადგენელი; მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის გუბერნიის გლეხობა სხვა წოდებებზე ბევრად უფრო მეტია, ამ კრებაზე თითქმის იმდენივე წარმომადგენელი ჰყავს, რამდენიც სხვებს. ეს დიდი უსამართლობაა... 17 სექტემბერს ჩვენგან წარმოდგენილ რეზოლიუციას კენჭი არ უყარეს, რადგან ეშინოდათ, [illegible] პირნი მოუყვანიათ კრებაზე, რომელთაც ინსტრუქციის ძალით ხმის უფლება არა აქვთ. ამის შემდეგ ჩვენი აქ დარჩენა აღარა ღირს. ტფილისსა, ბაქოსა და სხვა ადგილებში მომხდარი ამბები და თითქმის ყველგან საომარ დროის წესების შემოღება ნათლად გვიმტკიცებს, რომ ბიუროკრატიას სურს ხალხს პირი აუკრას და მოუსპოს აზრის თავისუფლად გამოთქმა. ამასვე ვხედავთ დღევანდელ ჩვენს კრებაზედაც. ამიტომ დღეიდან მე და ჩემი ამხანაგები თავს ვანებებთ სათათბიროს, ვწყვეტთ ბიუროკრატიასთან ყოველგვარ კავშირს და მივმართავთ სხვა საშუალებას; კავშირსა ვწყვეტთ აგრეთვე ჩვენს მოწინააღმდეგე წარმომადგენლებთან, პროტესტს ვუცხადებთ თავმჯდომარის ძალმომრეობით მოქმედებას და ბოიკოტს იმ ერობას, რომლის განხორციელება ეხლანდელს პირობებში ყოვლად შეუძლებელიაო".

გათავა თუ არა სიტყვა ბ-ნმა გურიელმა, მაშინვე დასტოვა სხდომა; მას გაჰყვა 15 სხვა წარმომადგენელი. წასვლისას მათ გადასცეს თავმჯდომარეს ახალი რეზოლიუცია, იმ რეზოლიუციის ნაცვლად, რომელიც 17 სექტემბერს წარუდგინეს სათათბიროს, მაგრამ ისევ უკან წაიღეს. წარმომადგენლების გასვლისათანავე მათმა მომხრე გარეშე საზოგადოებამაც ხმაურობითა და ყვირილით დასტოვა თეატრი.

ყვირილის ცოტა მიწყნარების შემდეგ სათათბირომ განაგრძო სხდომა. გ. ფ. ზდანოვიჩი შეეხო წასულ ჯგუფის საქციელს. იმისმა სიტყვამ ხმაურობა უფრო გააძლიერა. თეატრის ტალანსა (კარიდორში) და ქუჩაში მდგომი ხალხი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, სხდომა როგორმე დაეშალა,—მაღლიდან გადააგდეს თეატრში მოკიდებული ფიტილი, პეტარდა, რევოლვერიც დასცალეს,—მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს.

ბ-ნმა გობეჩიამ უსაყვედურა იმ პირთ, რომელნიც წინა დღეს სხვას ჰკიცხავდნენ თეატრში რევოლვერის დაცლისათვის და დღეს კი თავის თანამოაზრეთა დახმარებით ბევრად უფრო მეტი ძალმომრეობა ჩაიდინეს, რომელსაც ადვილად შეეძლო გამოეწვია ტფილისის სამწუხარო ინციდენტი და უდანაშაულო ხალხის ხოცვა-ჟლეტა. ორატორმა წინადადება მისცა კრებას უკმაყოფილება გამოეცხადებინა იმ პირთათვის, რომელნიც გახდნენ მიზეზად ხსენებულ საქციელისა.

გ. ი. გველესიანმა აღნიშნა, რომ ერთი ჩვენში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტი-

МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ

კური ჯგუფი, სამწუხაროდ, დღიდან თავის მოღვაწეობის დაწყებისა, დაადგა ყალბს გზას და სისტემატიურად არღვევს პარტიულ ეთიკისა და საპარტიო ურთიერთობის ელემენტარულ მოთხოვნილებებს. ძირითადი კანონი, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს ყოველი თავის თავის პატივცემული საზოგადოებრივი ჯგუფი,—ისაა, რომ პატივცემით ეპყრობოდეს მასთან მებრძოლ მოწინააღმდეგე ჯგუფს და ყოველ სამარცხვინო საშუალებას არ ხმარობდეს მიზნის მისაღწევად. რა ფორმაში გამოიხატა იმ პირთა ძალმომრეობა, რომელთაც ჩვენ ბოიკოტი გამოგვიცხადეს,—ეს დღეს ყველამ ნათლად დავინახეთ. ამისათვის ბ-ნი გველესიანი ეთანხმება ბ-ნ გობეჩიას წინადადებას, რომ უკმაყოფილება და გულის წყრომა გამოეცხადოთ იმ პირთ, რომელნიც არ თაკილობენ მოწინააღმდეგის დასამარცხებლად არავითარ სამარცხვინო საშუალებას.

კრებამ ერთხმად მიიღო წინადადება.

რადგან უკვე გვიან იყო, პროექტების განხილვა თავმჯდომარემ შემდეგი სხდომისათვის გადასდო.

ოფიციალური განცხადება

ნამესტნიკის თანხმობით, კავკასიის პოლიციის უფროსმა დაუგზავნა ცირკულიარი გუბერნატორებს, ოლქის უფროსებს, გუბერნიის, ოლქის და რკინის გზის ჟანდარმთა გამგეობებს, პოლიცმეისტრებს, ოლქის და მაზრის უფროსებს. ამ ცირკულიარში მათდა სახელმძღვანელოდ შემდეგი საფუძვლებია აღნიშნული.

მდგომარე წლის თებერვალში საჭიროდ დაინახეს კავკასიის ნამესტნიკის თანამდებობის აღდგენა სრულის უფლებით. როგორც ამის შესახებ გამოცემულ უმაღლესს რესკრიპტიდანა სჩანს, უმთავრესს საქმედ სცნეს დაუყოვნებლივ წესიერების აღდგენა კავკასიაში, რათა ამ კუთხეშიაც შესაძლებელი ყოფილიყო შიდა რუსეთში განზრახულ რეფორმების შემოღება.

იმ განზრახვით, რათა უმჯობესად ყოფილიყო ასრულებული ეს მიზანი, სხვათა შორის, საჭიროდ ცნობილ იქმნა დაარსება კავკასიის პოლიციის გამგის თანამდებობისა. ამ თანამდებობის შექმნით უნდა გაერთიანებულიყო მოქმედება სანამესტნიკოში პოლიციის სხვა და სხვა ორგანოთა მოქმედებისა. ამ წლის 22 მაისს გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება სენატის მიმართ, რომელიც შეეხება ამ საგანს; ამასთანავე გამოცემულ იქმნა დებულება კავკასიის პოლიციის გამგის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ამ თანამდებობის სხვა და სხვა მოვალეობას. ამ დებულების მეორე მუხლის ძალით, პოლიციის გამგე ნამესტნიკის უმაღლეს ხელმძღვანელობით თვალ-ყურს იჭერს და ზრუნავს სახელმწიფო წყობილების და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დასაცველად კავკასიის საზღვრებში.

ამ გვარად, ნამესტნიკის დანიშნულებათა ასასრულებლად, პირდაპირ იმას ექვემდებარება ერთ-ერთი აქტიური ორგანო, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებას, ვალდებულია დაიცვას სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესიერება.

უმაღლესი რესკრიპტი და უმაღლესს სახელობითი ბრძანებანი შეიცავენ უმაღლესის ნების გამოხატულებას იმის შესახებ, რომ საჭიროა დაარსდეს განსაკუთრებით უმაღლესი თანამდებობა კავკასიისთვის, შეჭურვილი ისეთის უფლებებით, რომლებიც შეძლებას მისცემენ დამოუკიდებლივ და საჩქაროდ გადაწყვიტოს ხოლმე ადგილობრივ ყველა საკითხი ამ ფართო და მდიდარ განაპირა ქვეყნის დაწყნარების შესახებ; ახალის თანამდებობის პირს ადგილობრივ უნდა შეესწავლა ქვეყნის საჭიროებანი, თავის დროზე პასუხი უნდა გაეცა ხოლმე მცხოვრებლების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით და მოესპო ყოველივე, რაც კი ხელს უშლიდა საზოგადოებრივ განვითარებას და ეკონომიურ აყვავებას.

ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი მძიმე საქმე კეთილად ასრულდება, თუ ნამესტნიკს დაეხმარებიან კავკასიის მცხოვრებნიც და იმას ხელქვეითი მოხელენი. ნამესტნიკმა არა ერთხელ გამოსთქვა თავისი რწმენა, რომ ამ საქმეში მას დაეხმარებიან ყველა წოდებათა და ხალხთა გონიერი ელემენტები; იგივე იყო გამოთქმული ზემოაღნიშნულს უმაღლეს რესკრიპტშიაც. მოხელეთა შესახებ ნამესტნიკმა ეს გამოსთქვა შემდეგ დეპეშაში: „დარწმუნებული ვარ, რომ ყველა მსახურნი მთავრობის დაწესებულებებში შეიგნებენ, რაოდენ საჭიროა ამ მძიმე დროს, ყოველი ძალ-ღონე ვიღონოთ და კავკასიაში კეთილდღეობა დავამყაროთ იმ სახით, რომელიც აღნიშნულია ხელმწიფე-იმპერატორის რესკრიპტში ჩემს სახელზე".

რაც შეეხება კავკასიაში საპოლიციო ნაწილის გამგის თანამდებობის დაწესებას, საჭიროა აღინიშნოს, რომ ამით უნდოდათ კავკასიაში სხვა და სხვა საპოლიციო დაწესებულებათა მოქმედების გაერთიანება. გაერთიანება არ შეიძლება იყოს მხოლოდ მექანიკური, ე. ი. შეთანხმება იმ პირთა და დაწესებულებათა, რომელთაც მინდობილი აქვს პოლიტიკურ დანაშაულობათა დევნა და თავიდან აცილება, არამედ უნდა იყოს შეერთება და შეთანხმება ყველა დაწესებულებათა ენერგიულ საერთო მუშაობისათვის, რომელსაც საგნად უნდა ჰქონდეს საზოგადოებრივ წეს-რიგის დაცვა კავკასიაში, რისთვისაც საჭიროა შეგნებული შემომქმედებითი მუშაობა და არა უბრალო საპოლიციო ძიება. თუ იმას ვიქონიებთ მხედველობაში, რომ საზოგადოებრივ წესიერების დაცვა მარტო პოლიციურ მოღვაწეობას არ შეუძლია, არამედ ამისათვის საჭიროა საზოგადოების კეთილგონიერ ელემენტთა დახმარება, მაშინ, ჩემის აზრით, არც იმას უნდა ვივიწყებდეთ, რომ საზოგადოება ასეთს დახმარებას მაშინ აღმოუჩენს მთავრობას, თუ იმისი ნდობა ექნება და პატივისცემა; ხოლო საზოგადოების ნდობისა და პატივისცემის მოპოვება მაშინ შეუძლია მთავრობას, როცა დაამტკიცებს, რომ მას მხოლოდ კანონიერების დაცვა სწადიან და რომ მას საზრუნველ საგნად გაუხდია ყველა მცხოვრებთა კეთილდღეობა.

გავითვალისწინეთ რა საზოგადო ხასიათი სანამესტნიკოში არსებულ დაწესებულებათა მოქმედებისა, სამწუხაროდ, მე არ შემიძლიან არ აღვიარო, რომ ეს მოქმედება არ შეესაბამება ზემოდ დასახელებულ აზრებს და იმ მოთხოვნას, რომელსაც ამ დაწესებულებათაგან ითხოვს სამსახური.

ვიდრე გადავიდოდე ზოგიერთ ფაქტების განხილვაზე, ჩემს ვალად ვრაცხ, შევჩერდე რამდენსამე ზოგად მოსაზრებაზე.

(შემდეგი იქნება)

სოფლად

გურია. ამდენ ავაზაკობის, ამდენ საზიზღარ მკვლელობის და სისაძაგლის გაგონება ადამიანს სასოწარკვეთილებაში აგდებს, მომავალის იმედს უკარგავს და ძალაუნებურად ყველაფერზე გულს უცრუებს... ჯერ პირველ ქურდობის ჩამდენნი არ გაესამართლებინა ხალხს, რომ მეორე, მესამე და მეოთხე ქურდობა დაემატა ზედ. ჯერ პირველი მსხვერპლი ავაზაკებისა არ გაცივებულიყო, რომ მეორე უდანაშაულო ადამიანს გაუგმირეს გული და სიცოცხლეს გამოასალმეს. დავიწყოთ თავიდან:

21-ს სექტემბერს, როგორც იცით, ბოროტ გამზრახველნი ჩაესაფრნენ ნატანების გზაზე ოზურგეთში მიმავალ ფოსტას, სროლა დაუწყეს და ორი სტრაჟნიკი შიგ ტროიკაში მოჰკლეს. „Почта, слава Богу, спасена!" ეს პოჩტის უფროსის სიტყვებია. დანარჩენი ორი დარაჯი, რომელნიც ცხენებით პოჩტას წინ და უკან მისდევდნენ, და აგრეთვე მეეტლე და ფოჩტალიონი შემთხვევით გადარჩნენ. ამ მოულოდნელმა ამბავმა ხალხი ძალიან ააღელვა. ცურიანთელებმა, რომელ სოფელშიაც ეს ამბავი მოხდა, მაშინვე მუშაობას თავი მიანებეს და მთელი სოფელი, დიდიან პატარიანა, ავაზაკების კვალს გამოუდგა. ამათ მეცადინეობამ უნაყოფოდაც არ ჩაუვლია. ცოტა ხნის კვლევა-ძიების შემდეგ, მეორე თუ მესამე სოფელში, რამდენსამე თავდამსხმელს მიაგნო და დაატუსაღა კიდეც.

ამის შემდეგ არ გაუვლია ერთ დღეს, რომ კიდევ უარესი ამბავი მოხდა. ღამის ცხრა საათია, ექიმთან კაცი გარბის, მიშველეთ, კაცი მოჰკლესო! რა მოხდა, რა ამბავია? აი რა: კირილე კალანდაძისას, რომელიც ოზურგეთიდან ნახევარი ვერსტის მანძილზე სდგას, ვიღაცას ჯერ ეზოს ჭიშკარი ჩამოულია, ეს შეუნიშნავთ ეზოში მყოფ სტუმრებს და რევოლვერი უსროლიათ,—მერე კი სახლში შესულან. ამის შემდეგ არ გაუვლია თხუთმეტ წუთს, რომ გარეთ ბერდანკა გავარდნილა და სახლს ჭერში მიხვედრია. თოფის ხმაზე სტუმრად მყოფი კ. ბებურიშვილი ფანჯარასთან მისულა და შეუძახნია: რომელი ხარ, რომ კინაღამ დაგვხოცეო. მეზობლისას იმ ღამეს ნათლობა ყოფილა, ეგონა, თუ თოფი იქიდან გამოვარდაო. მაგრამ ამ დროს თოფს მეორედ დაუჭექია და ბებურიშვილი წაქცეულა. ამ სცენის დამნახველი დიასახლისი, კ. კალანდაძის ცოლი, მოუფიქრებლად წივილ-კივილით ფანჯარასთან მივარდნილა და დაუძახნია: „რას გვერჩით, რომ გვხოცავთო". მესამეც გავარდნილა ბერდანა და ტყვია ქალს მუცელში მოხვედრია. ამის შემდეგ ავაზაკიც გაქცეულა. ქალმა ოთხი საათის ტანჯვა-წვალების შემდეგ დალია სული, ხოლო ბებურიშვილი დღესაც ცოცხალია და შეიძლება გადარჩეს. ასეთ შემაძრწუნებელ მკვლელობის ამბავი ტყვიასავით მოხვდა ყველას გულზე. მეორე დღესვე საზოგადოების მიერ არჩეული კაცები შეუდგნენ მკვლელის ძებნას. მგონი, აღმოუჩენიათ კიდეც მკვლელი და შეუპყრიათ.

ამდენი ამბის გაგონების შემდეგ დღეს, 24 სექტემბერს, დილით, სახლიდან დაფიქრებული მოვდიოდი, რომ მომაძახეს: ახალი ამბავი გაიგე: ნატანების გზაზე წუხელის ცხრა საათზე კიდევ დასცემიან ეტლს და მგზავრები გაუძარცვავთო. სწორედ, რომ სასაცილოა, სატირელი რომ არ იყოს. მერე იცით, ჩექმებიც კი გაუხდიათ მგზავრებისთვის და ისე ფეხშიშველა გაუშვიათ!

რა ეშველება, რა მოსპობს ასეთ სამარცხვინო ხელობას? რა თქმა უნდა, არა სახრჩობელა ან დახვრეტა, საკვდილით დასჯა ან ბორკილები. ყოველ შემთხვევაში ხალხი დიდ საგონებელს მიეცა... **ხილია**

—

კახეთი. ნურავის ეგონება, კახეთიდან მოწერილ ამბავში გადაჭარბებული იყოს რამე. ნურავინ იფიქრებს, რომ კახეთი ისევ ისეთი იყოს, როგორიც წინად იყო,—ყოვლად უძლური, ყოვლის მომთმენი და ამტანი. არა, გამოიცვალა და ხარბად დაეწაფა განახლებულ ცხოვრებას, რასაც გვიმტკიცებს დღევანდელი მისი მძლავრად მაჯისცემა. ის სოფლებიც კი, რომელიც რაღაც მიზეზით ჩამორჩა გაზავსებულის საერთო მოძრაობას, დარწმუნდნენ, რომ ძველი წყობილებით შეუძლებელია ცხოვრება და ეხლა მაინც არ უნდათ ჩამორჩნენ თავიანთ მოძმეთ. მაგ. ს. შილდის მცხოვრებნი, როცა დაბრუნდნენ თელავიდან, სადაც მთელი მაზრა იყო დაბარებული საერობო სათათბიროში წარმომადგენელთა ასარჩევად, დარწმუნდნენ, რომ ამათთვის ყველას გაუსწრია, ერთ კვირა დღეს შეიკრიბნენ, მამასახლისი გადააყენეს, ფიცი მიიღეს ძმობა-ერთობაზე, ამოარჩიეს ათის და ასის თავები და მიანდეს სოფლის ყურის გდება.

კიდევ ბევრი საყურადღებო ამბები ხდება ბარში, მაგრამ მკითხველის ყურადღებას მთისკენ ვაქცევ. მთაში საშინლად აწუხებენ მწყემს თუშებს. მოსვენებას არ აძლევენ ქისტები, ლეკები და ჩეჩნები. სხვა რომ იყოს ვინმე, აქამდე ქვეყანას აიკლებდა, ყველას ტირილით და წუწუნით ყურებს გამოუჭედავდა, მაგრამ ესენი ითმენენ, ითმენენ და მხოლოდ თავიანთ მამაცობას და ძალას ამყარებენ იმედებს. ამ თვის პირველ რიცხვებში ართანის მთაში, რომელსაც საზღვრავს დაღესტნის მთები, საძოვარ ადგილებში, ესრედ წოდებულ „ანდარაზა"-ს, ლეკები დაეცნენ ცხენის ჯოგს; ჯოგის პატრონ თუშებს, ცისკარაშვილებს, მძინარეებს მიეპარნენ, ყელები დასჭრეს და 120 რჩეული ცხენი გაირეკეს. ამ უბედურთა გვამები ცხენებით ალვანში ჩამოასვენეს. ერთი ახლად ჯვარ-დაწერილი იყო და მეორე სულ ახალგაზრდა ჭაბუკი. თითო ცხენი სულ ცოტა 50 მანეთი რომ ვიანგარიშოთ, 6,000 მან. ცხენები დაიტაცეს და პატრონებიც სიცოცხლეს გამოასალმეს. ლეკების მდევრად 40 ახალგაზრდა თუში წავიდა. კარგა ხანია იმათი არაფერი ისმის სოფელში. მოხუცნი ფიქრში არიან; შემოდგომაა, აცივდა, დღეს თუ ხვალ მთა ჩამოითოვებს, გზა მოეჭრებათ და შეიძლება უდაბურ ალაგას მოჰყვნენ სადმე; ესეც არ იყოს, თუ როგორმე წამოეწივნენ, სროლა აუცილებელია და ვინც იცის, კიდევ შეიწიროს მსხვერპლიო?

მთელი ეს უბედურება იმის შედეგია, რომ მთას იარაღი აქვს აყრილი. ხალხს რომ იარაღის ტარების ნება ჰქონდეს, ვერც ერთი ქისტი, ლეკი და ჩაჩანი ვერ შებედავდა იქ შესვლას. **დევი**

პრესსა

გაზეთი „მოგზაური" თერთმეტ სექტემბრის ნომერში თათრებსა და სომხებ შუა ატეხილ ომიანობის გამო სწერდა და იმ აზრს იცავდა, რომ ყველაზე მეტი ბრალი ამ საქმეში სომხის ბურჟუაზიის უნდა დაედოს, რომელიც თავის თავს მაღალ კულტურის მატარებლად სთვლის და ნამდვილად კი კლერიკალიზმის სამოსელში გახვეულის ვიწრო აზრებით სომხის მუშა ხალხს გზას ურევს და ეროვნულ განხეთქილებას სთესავსო. ჩვენი გაზეთი ყოველთვის სწორედ ამ მხრივ იცნობდა სომხის ბურჟუაზიას და „მოგზაურის" წერილის გამო ვთქვით:

> ჩვენ სრულიად ვეთანხმებით გაზეთის „მოგზაურის" აზრს, რომ სომხის ბურჟუაზიამ და მისმა იდეოლოგებმა მეტად სამარცხვინო როლი ჩაასრულეს თავის ვიწრო კლერიკალურ ნაციონალიზმით. ეჭვს გარეშეა, სომხის მუშა ხალხს რომ უფრო სადი და გონივრული შეგნება ჰქონოდა თავის ინტერესებისა და ბრმად არ აჰყოლოდა სომხის ბურჟუაზიის შოვინისტურ მისწრაფებებს, არც თებერვლის და აგვისტოს საშინელი სისხლისღვრა მოხდებოდა. როდესაც კლასსებრივი ინტერესები და ნაციონალური იდეალები ერთი-ერთმანეთში ისე გადახლართული არიან, რომ ხელს უშლიან ერთის მხრივ სალს პროლეტარულს თვითშეგნებას და მეორის მხრივ ეროვნულ იდეის გონივრულ შეგნებას, მაშინ, ხალხი ადვილად ჰხდება ბურჟუაზიის ეგოისტურ მისწრაფებათა იარაღად და ადვილად ივიწყებს თავის ნამდვილს ინტერესებს, როგორც კლასსიურს, აგრეთვე ეროვნულს.

„მოგზაურის" რედაქცია მეტად უკმაყოფილოა, რომ ამ საგანში ისევე ვფიქრობთ, როგორც ის, და ამიტომ საჭიროდ სთვლის ჩვენ წინააღმდეგ ამხედრებას.

> ვინადგან ჩვენ აშკარად დავგმეთო, ამბობს ,,მოგზაური'', სომხის ბურჟუაზიის და მისი იდეოლოგების ოინები სომხის პროლეტარიატის მოსაცდუნებლად (უნდა იყოს ,,შესაცდენად'') ნახმარი, ამას ჩვენ, რა თქმა უნდა, დიდ სამსახურში ჩაგვითვლიდა ქართველი ნაციონალისტები, ე. ი. ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგები. და აი სწორედ ასე მოხდა.

ფელეტონი

საბრალო „ორტოდოქსი"

ყველასათვის ცნობილია, რომ კარლ მარქსმა წარმოშობა მრავალი კრიტიკი, რომელთა ერთგვარი ტიპი საუკეთესოდ იქმნა რუსეთში დახასიათებული „მარქსისტთა" სახელწოდებით. არც ჩვენი კუთხეული მხარე ასცდენია ასეთ კრიტიკებს: ეგრეთწოდებულ „მესამე დასელთა" რიცხვში თანდათან უფრო ხშირად გვხვდება ამგვარი ტიპი, რომელთა სათავეშიც ეხლა „მოგზაური" გამხდარა. „მოგზაურს" უმოგზაურია და ერთი ახალი კრიტიკი კიდევ გამოუნახავს; სახელი მისი დ. ახმეტელაშვილი.

თავისი ლიტერატურული დებიუტი მან დაიწყო „ზღაპრობით" (ეს სიტყვა მისივე საკუთარი სიტყვაა) „ცოტა რამ კაპიტალის თეორიაზე", რომელშიაც სავსებით დაამტკიცა უსუსური მსჯელობა ამ ძნელ საკითხის შესახებ. თუ დრო გვიშოვნეთ, ამ გამოთქმულ აზრს უთუოდ დავასურათებთ. ეხლა-კი აუცილებლად მიმაჩნია მოველაპარაკო მას მეორე წერილის შესახებ, რომელიც იწოდება „ორიოდე სიტყვა კაპიტალის კონცენტრაციაზე" და რომელშიაც იგი მე შემეხება.

დასახელებული წერილი მოთავსებულია „მოგზაურის" მე-28 ნომერში, რომელიც მხოლოდ ეხლა ჩამივარდა ხელში და, მაშასადამე, აქამდე ვერ შევძელი პასუხის გაცემა.

ბ-ნი ახმეტელაშვილი ასე იწყებს თავის „ზღაპრობას". მარქსიზმსაო—ამბობს იგი—დღიდანვე მისი მოღვაწეობისა, 48 წლიდანვე, ვიდრე დღევანდლამდე არ ასვენებდა ბურჟუ-ეკონომისტების კრიტიკა. მაგრამ მათ კრიტიკას მარქსიზმი სრულიად არ შეურყევია: პირიქით, რამდენადაც ისინი აკრიტიკებდნენ და აკრიტიკებენ მას, იმდენად უფრო იდგამდა და იდგამს იგი ფესვებს ხალხის აზროვნებაში. ამას გარდა აღსანიშნავია, რომ მათი კრიტიკა ერთსა იმავე არგუმენტაციით იყო აღჭურვილი: მათ არაფერი ახალი არ უთქვამთ და მხოლოდ ათასჯერ ნათქვამს იმეორებდნენ. ჩვენშიაც იწყეს მეცნიერულ სოციალიზმის კრიტიკა. „ამ მოკლე ხანში მარქსის მთავარი ტეზისი, კაპიტალის კონცენტრაცია, იმიდეს ნიშანში, რომელსაც უსირცხვილოთ ამახინჯებენ პროლეტარიატის თვალების ასახვევად". ამ მთავარ თეზისის „გაბათილებას თითქმის მთელი სამოცი წლიწადი სცდილობდნენ ბურჟუაზიული ეკონომისტები და ამათთან ერთად (კურსივი ჩემია) სულ ახლად შესდგომია ღრმად გაბრძნილი დემაგოგელი ბ-ნი გ. კ."

ეს შესავალი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იმათზე შეჩერება აუცილებლად მიმაჩნია. როგორც მკითხველი ჰხედავს, ბ-ნი ახმეტელაშვილი ასე უყურებს აძრულ საკითხს: ერთი მხრივ მარქსიზმის ვითარება და მეორეს—ბურჟუაზიული კრიტიკა მარქსიზმისა. მაგრამ ვიკითხოთ: მარტო ბურჟუაზიული იყო მარქსიზმის კრიტიკა? როგორც „ორტოდოქსმა", ბ-ნმა ახმეტელაშვილმა უთუოდ უნდა იცოდეს მარქსიზმის ისტორია, ჯერ კიდევ დიდებულ „ინტერნაციონალში" მოხდა განხეთქილება მარქსისტთა და არამარქსისტთა შორის და დაიწყო გაცხარებული კრიტიკა მარქსიზმისა ამ უკანასკნელთა მიერ. აქედან იწყება გამოკვეთა ეგრედ წოდებულ თავისუფალ კომმუნიზმისა, როგორც განცალკევებულ პარტიისა, რომლის წარმომადგენლად ეხლა ითვლება ცნობილი პეტრე კრაპოტკინი და, სხვათა შორის, ჩვენი თანამემამულე ვ. ჩერქეზიშვილი, „ორტოდოქსმა" ბ-ნმა ახმეტელაშვილმა უნდა იცოდეს ამას გარდა, რომ რუსეთშიაც კრიტიკით შეჰხვდნენ მარქსიზმს მიმდევარნი ჩერნიშევსკისა, ლავროვისა და მიხაილოვსკისა. ნუ თუ ყველა ეს ბურჟუაზიული კრიტიკაა მარქსიზმისა—კრიტიკა „პროლეტარიატის თვალის ასახვევად"?

მაგრამ დავანებოთ ამას თავი და ავიღოთ თვით მარქსიზმი. ნუ თუ არ მომხდარა კრიტიკა მარქსიზმისა თვით მარქსისტთა მიერ? როგორ არა, მაგრამ ეს ხომ „რევიზიონისტები" არიანო,—შეიძლება მითხრას ბ-ნმა ახმეტელაშვილმა. ამაზე შემდეგს მოვუგებ: ჯერ ერთი, ყველა მარქსისტი—კრიტიკოსი სრულიად არ არის უთუოდ „რეფორმისტი". აიღეთ, მაგალითად, ვანდერველდე, ზოგიერთი მარქსისტი ჰოლანდიელი, ბელგიელი და სხ.; ესენი ხომ „რეფორმისტები" არ არიან და მიუხედავად ამისა, მარქსიზმის ზოგიერთს მთავარ მუხლს სხვადასხვაგვარად აკრიტიკებენ. აიღეთ, თუ გნებავთ, რუსეთის მარქსისტები—„რადიკალები" ბოგდანოვი, ლუნაჩარსკი, ბაზაროვი, სუვოროვი და სხვ. ამათ სრულიად უარჰყვეს მარქსიზმის ფილოსოფია (სინტეზი მატერიალისტურ მეტაფიზიკისა და დიალექტიკურ ლოღიკისა) და მარქსიზმის სოციოლოგიას თავისებურად ხსნიან, მიუხედავად ამისა, ისინი მარქსიზმის „რადიკალთა" ჯგუფს ეკუთვნიან. მეორე, თუ მაინც და მაინც მარქსიზმის კრიტიკოსები მარქსისტთა წრეში უმეტეს წილად „რეფორმისტები" გამოდიან, რატომ უდგებიან მათ გვერდში „რადიკალები", როგორც ეს განსაკუთრებით გერმანიაშია?!

აქედან ნათლად გამოდის შემდეგი: ჩვენი „ორტოდოქსი" ან სრულიად არ იცნობს არა ბურჟუაზიულ მარქსიზმის კრიტიკას, ანდა ყოველი კრიტიკა ბურჟუაზიულად ეჩვენება, რომელია ამ ორში მართალი, პირველი თუ მეორე? ჩემის აზრით, ორივე მართალია; ბ-ნი ახმეტელაშვილი ძლიერ ნაკლებ და სუსტად იცნობს მარქსიზმის არა ბურჟუაზიულ კრიტიკას და ამას გარდა—რაც უფრო დამახასიათებელია კარლიკისა—მას ყოველი კრიტიკა მარქსიზმისა უთუოდ ბურჟუაზიულად ეჩვენება, ეს უკანასკნელი იმდენად საინტერესოა, რომ არ შემიძლია რამოდენიმედ არ შევჩერდე.

ჩვენ „ორტოდოქსის" და მის მსგავსების ფორმალური აზროვნება ამ შემთხვევაში ასეთია: არა მარქსისტიული იდეოლოგია, მაშასადამე, ბურჟუაზიული იდეოლოგია; სოციალისტური იდეოლოგია, მაშასადამე, მარქსისტული იდეოლოგია, ამგვარ დაპირდაპირებას მიჰყავს ბ-ნ ახმეტელაშვილისთანა მარქსისტი აბსურდამდე. ავხსნათ აქ ნათქვამი.

ფორმალურ აზროვნებაში არის ერთი ლოღიკური ფაქტი, რომელსაც წინააღმდეგობას უწოდებენ. თვით ეს წინააღმდეგობა ორის სახისაა: ერთი გამოიხატება ისეთს დებულებაში, სადაც პირველი წევრი პირდაპირ უარჰყოფს მეორეს; მაგალითად: ა არის ბ, ა არ არის ბ. ვინც ამტკიცებს პირველს, იგი უარჰყოფს მეორეს, ვინც ამტკიცებს მეორეს, იგი უარჰყოფს პირველს. ეს არის ლოღიკური უარყოფა, რომელსაც პირდაპირ წინააღმდეგობას ეძახიან, მეორე წინააღმდეგობა გამოიხატება ისეთს დებულებაში, სადაც პირველი წევრი უთუოდ არ უარჰყოფს მეორეს, ან მეორე—პირველს; მაგალითად: წითელი, მწვანე; ვინც ამტკიცებს წითელს, ის უთუოდ არ უარჰყოფს მწვანეს; მაგალითად: ეს არის წითელი, მაშასადამე იგი არ არის მწვანე. ეს დებულება მართალია, მაგრამ სხვა გვარ დაპირდაპირებაში; იგი ხომ პირველ სახის წინააღმდეგობისთანა იყოს, მაშინ ეს დებულება შეგვეძლო მოგვებრუნებინა და მაინც სწორი გამოვიდოდა. ეხლა კი, რომ ვთქვათ: არა მწვანე, მაშასადამე, წითელი,—ეს შეცდომა იქნებოდა, რადგან მწვანეს გარდა მარტო წითელი ფერი-კი არ არსებობს, არამედ არსებობს რამდენიმე სხვა ფერიც. ამ გვარ სახის წინააღმდეგობაში გამოიხატება რეალური ოპპოზიცია, რომელსაც არა პირდაპირ წინააღმდეგობას ეძახიან.

ავიღოთ ეხლა, როგორც ერთგვარი „ცნებანი", მარქსისტული იდეოლოგია, ბურჟუაზიული იდეოლოგია, სოციალისტური იდეოლოგია და დავუპირდაპიროთ ერთი მეორეს. ხოლო ამისათვის საჭიროა აღვნიშნოთ, თუ როგორ იქმნება საერთოდ „ცნება". ადამიანის აზროვნება დამყარებულია ერთგვარ ფაქტზე, რომელიც ბუნებას მრავალ მხრიობის გაპსტრაქციებაში გამოიხატება, ჩვენ „ვამარტივებთ" სინამდვილის ინდივიდუალ მრავალმხრიობას (упрощеніе дѣйствительности), აქედან გამოდის „განმარტება" რომელისამე საგნის ან მოვლენისა, ანუ მათი „განსაზღვრა" (опредѣленіе). თვით განმარტება—განსაზღვრა გამოიხატება ისეთ ნიშნების გამონახვაში, რომელიც ახასიათებს რომელსამე საგანს ან მოვლენას, როგორც ამ გვარს, და რომელიც ასხვავებს მას ყოველ სხვა საგნისაგან ან მოვლენისაგან. ერთის სიტყვით, სძებნიან ჯერ გვარეულობით ნიშნებს, მერე სახეულობით, მერე ინდივიდუალობით და სხ. იქნება „ცნება", რომელიც ექვემდებარება სხვა ცნობას, ეს უკანასკნელი კიდევ სხვას, და ასე ამნაირად, სანამ ზოგად ცნებას არ მივიდებთ, რომელნიც შეიცავენ მთელს უნივერზუმს. სისტემაში მოყვანა ამ ცნებებისა შეადგენს მეცნიერების მიზანს: თვით მეცნიერება ცნებათა სისტემაა.

ავიღოთ ეხლა მარქსისტული იდეოლოგია, როგორც ცნება, პირველი მისი განმარტება ის იქნება, რომ იგი არის სოციალისტური იდეოლოგია (განმარტებისათვის მივიღოთ, რომ ეს უკანასკნელი განმარტებულია). როგორც ამ გვარი, იგი ეწინააღმდეგება ყოველ სხვა არა-სოციალისტურ იდეოლოგიას: ბურჟუაზიულს, ფეოდალურს, მონურს. ეს დაპირდაპირება არა პირდაპირია, რომ ვთქვათ, რომ არა მარქსისტული უთუოდ ბურჟუაზიულია, შეცდომა იქნება, რადგან იმ დებულებაში (არა სოციალისტური), რომელსაც მარქსისტული უპირისპირდება, ბურჟუაზიულს გარდა კიდევ მოიპოვება სხვაც, მაგალითად, ფეოდალური ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ეს ვთქვათ: არა მარქსისტული, მაშასადამე, არასოციალისტურია, ეს იქმნება მარქსიზმის „ფართო" განმარტება. მაგრამ ეს არა კმარა: საჭიროა კიდევ მისი „ვიწრო" განმარტება. ამ საჭიროებას მოითხოვს შემდეგი დაპირისპირება. შეგვიძლია ვთქვათ: მარქსისტული, მაშასადამე, უთუოდ სოციალისტური, მაგრამ არ შეგვიძლია ეს დებულება მოვაბრუნოთ და უთუობით ვსთქვათ: სოციალისტური, მაშასადამე, უთუოდ მარქსისტული. რათა? იმისათვის, რომ სოციალისტური უფრო ფართო ცნებაა და შეიცავს მარქსისტულს, მასთან შედარებით, როგორც ვიწრო ცნებას, მარქსისტული კი ვერ შეიცავს სოციალისტურს, რადგან მარქსისტულს გარდა არის კიდევ სხვაც რომელიც სოციალისტურს ეკუთვნის, როგორც მაგალითად ანტროპოლოგიური სუბიექტივიზმი მიხაილოვსკისა და ლავროვისა, თავისუფალი კომმუნიზმი ბაკუნინისა და კრაპოტკინისა და სხ.

უპირველეს ყოვლისა ქართველ ნაციონალისტების ორგანომ „ცნობის ფურცელმა“ ხსენებული წერილის გამო პირველათ საჯაროთ გამოაცხადა, რომ ჩვენ, ე. ი. ქართველი ნაციონალისტები, სავსებით ვეთანხმებით ბ-ნ მახარაძესო. ერთი ვიკითხოთ: რაში? შეიძლება ხსენებულ ორგანოს ეგონა, რომ ჩვენ სომხის ხალხს ვაძაგებდით და არა სომხის ბურჟუაზიას? ან შეიძლება მისი აზრით, სომხის ნაციონალისტების და სომხის ბურჟუაზიის იდეოლოგების ძაგება ქართველ ნაციონალისტების და ქართველ ბურჟუა-ლიბერალების ქებაა? სხვა ნაირათ ჩვენ ვერ აგვიხსნია, რას ნიშნავდა „ცნობის ფურცლის“ მხრით თანაგრძნობის გამოცხადება. ერთი სიტყვით, ჩვენთვის გაუგებარი დარჩა, თუ რა იყო ქართველი ნაციონალისტებისთვის ჩვენ წერილში მაინცა და მაინც სასიამოვნო... რაც სომხის ბურჟუაზიის შესახებ ვთქვით, ეს ჩვენ ქართველ ბურჟუაზიაზედაც გვითქვამს, ვამბობთ და ვიტყვით.

დღემდე ასე გვეგონა, რომ ვერავინ დონკიხოტს ვერ გადააჭარბებდა და იმაზე შორს ვერ წავიდოდა, რომ ყალბი ფანტაზიისაგან შექმნილ წისქვილებს შეჰბმოდა საბრძოლველად. „მოგზაურმა“ დაგვარწმუნა, რომ იმის ლიტერატურულ გმირებს ამ მხრივ დონკიხოტზე გაცილებით მეტი ნიჭი ჰქონიათ. ისინი გვებრძვიან ჩვენ იმ საგნის თაობაზე, რომელიც სწორედ ისე გვესმის, როგორც მოგზაურელებს. „მოგზაურს“ ეთაკილება ჩვენი თანამოაზრეობა, რადგან მისგან არა ერთხელ „გამოცხადებული იყო“, ვითომც „ცნობის ფურცელი“ ბურჟუაზიულ ინტერესებს იცავს და „მოგზაური—მშრომელ ხალხისას, ასე რომ მათ შორის თანხმობა არც ერთს საგანში მოსალოდნელი არ არისო. მაგრამ ჩვენს არა მკითხე წინასწარმეტყველს და თავის საკუთარის არსების განდიდების აზრით ავადმყოფს მეცნიერს ბედმა უმუხთლა და აღმოჩნდა, რომ სომხის ბურჟუაზიის მნიშვნელობა ერთს საქმეში მაინც ჩვენც და მოგზაურელებმაც ერთნაირად გავარკვიეთ. უეჭველია, ეს გარემოება საკონებელში აგდებდა „მოგზაურელებს“ და, რადგან პრესტიჟის დასაცველად სხვა ვერაფერი იპოვეს იმის მეტი, რომ ჩვენ ისევ ბურჟუობა დაგვწამონ, ამიტომ რიტორიულად იყვირეს, რა თანხმობაა ეს თანხმობა, ჩვენ არ გვესმის, ეს თანხმობა არ არისო. ჩვენაო,—განაგრძობს გაზეთი „მოგზაური“,—ქართველ ბურჟუაზიის შესახებაც იმას ვამბობთ და ვიტყვით, რასაც სომხის ბურჟუაზიის შესახებო, და ჰგონია, რომ საშინლად დაგვამარცხა. ძალიან სცდება, რადგან არც ჩვენ ვექომაგებით ქართველ ბურჟუაზიას (რამდენადაც იგი არსებობს), და როდესაც შემთხვევა მოიტანს, „მოგზაურზე“ ნაკლებ არ გავუშალტავთ იმას. მაშ სად არის განსხვავება ჩვენსა და „მოგზაურელებს“ შორის?—ვისაც ეინტერესება ეს საკითხი, იმან ეს საკმაოდ კარგად იცის და ისიც სწამს, რომ ლიტერატურულის ჯამბაზობით „მოგზაური“ გათვითცნობიერებულს ხალხს ვერ შეაცდენს დახავსებულის ცილისწამებით, ვითომც ყველა, ვინც კი „მოგზაურის“ სრული თანამოაზრე არ არის, მუშა ხალხის მტერი და ბურჟუაზიის იდეოლოგი იყოს. „მოგზაურელების“ სისტემატიურ ცილისწამებას ჯერჯერობით კიდევა აქვს ცოტაოდენი გასავალი, მაგრამ მრავალი ნიშანია ხალხის გამოფხიზლების, გაცნობიერებისა და, უეჭველია, მალე იმასაც შევესწრებით, რომ ხალხმა სამართლიანად განსაჯოს, ვინ არის მართალი და ვინ არის მტყუანი.

⁂

აღმოსავლეთ კავკასიის საშინელმა ამბებმა მთელი ქვეყანა აალაპარაკა. ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რა სიბეჯითით სწერენ ამ საქმეების გამო წერილებს რუსეთის გაზეთებში, მაგრამ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ არც უცხოეთის გაზეთები აკლებენ. ფრანგულს, გერმანულს და ინგლისურს გაზეთებში მრავალი დეპეშა და წერილი დაიწერა ბაქოს ამბების შესახებ. ხშირად უცხოეთის პუბლიცისტები ისე ნათლად და ისე სწორად მსჯელობენ თათრებსა და სომხებზე, რომ ჩვენებურს პუბლიცისტებზე მეტს საქმეში ჩახედულებას და ადგილობრივ ცხოვრების პირობათა უკეთ ცოდნას იჩენენ. მაგალითისთვის მოგვყავს რამდენიმე ადგილი ფრანგულ გაზეთის „ლინდეპანდანს ბელჟ“-დან.

ტრაგედია, რომელიც ბაქოში დატრიალდა, ფატალური შედეგი იყო ადგილობრივ ცხოვრების პირობებისა: ნავთის სამრეწველოების მუშები უკვე კაი ხანია, რაც ყოვლად უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ; მუშები იქ პირდაპირ მსხვერპლები იყვნენ ყოველგვარის ძალმომრეობისა, სისულელის, ცბიერის დაპირების, მუდმივის დაშინებისა, რომელსაც, სხვათა შორის, მიჰმართავდა ხოლმე სამრეწველოებში ჩაყენებული ყაზახთა რაზმი, როგორც სადარაჯო პოლიცია. ამ აუტანელმა მდგომარეობამ დაუკარგა მუშა ხალხს ყოველივე ნდობა მწარმოებლებისადმი და ღრმად ჩაუნერგა გულში გულმოსულობა და საყოველთაო გრძნობა სიძულვილისა და შურისძიებისა. მუშები იქ ძლივს იმდენს იღებდნენ, რომ მშივრები არ დახოცილიყვნენ, რვა და ათი კაცი ერთს ოთახში სცხოვრობდნენ, ერთს პატარა, დაბალ ჭერიანს, ბნელს, სუფთა ჰაერისთვის დახშულს, სულის შემხუთველ ატმოსფერიანს ოთახში. რაც შეეხება მუშაობის ხელფასს, არავინ არა თაკილობდა სულ უმიზეზოდ, ესე—თვითნებობით, შეემცირებინათ, და არც სამუშაო ვადის გადიდებას ერიდებოდნენ. აღმაშფოთებელი სანახავი იყო, რომ იქაური მრეწველები ასე ყრუდ ეპყრობოდნენ მუშებს და არა ჰზრუნავდნენ იმათი სულ უბრალო, ელემენტარული საჭიროებანი მაინც ყოფილიყვნენ დაკმაყოფილებული...

შემდეგ გაზეთი თათრებსა და სომხებს შორის ჩამოვარდნილს უთანხმოებას ეხება და ამბობს, სომხის ძლიერმა ბურჟუაზიამ მთელი კავკასია ხელთ იგდო და რასსიული უკმაყოფილება გაჩნდა, რომელიც მალე კონფლიქტად გადაიქცა, რადგან ამას რამდენიმე გარემოება უწყობდა ხელსაო. აი რას ამბობს გაზეთი ამ კონფლიქტის ხელშემწყობ გარემოებათა შესახებ.

კონსტანტინეპოლში ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, ოცდა ათი ათასზე მეტი სომეხი გადმოვიდა ოსმალეთიდან კავკასიაში და გამოაძევა ამოდენივე თათარი სამრეწველოებიდან. თათრებმა დაჰკარგეს სამუშაო ქარხნებში, სამრეწველოებში და უბრალო მიწას მუშაობაც კი.

მეორის მხრივ თათრებმა მეტად მწარე გაკვეთილი მიიღეს თავის გადასახლებით ოსმალეთში.

ოსმალეთის აგენტები სამოთხის ცხოვრებას ჰპირდებოდნენ თათრებს, თუ კი ისინი ოსმალეთში გადავიდოდნენ; ამის მიზეზით გადასახლებულმა თათრებმა თავისი თავი ძალიან მოტყუებულად ჩასთვალეს, რამდენიმე თვე დარჩნენ ოსმალეთში და შემდეგ გადასწყვიტეს ისევ რუსეთში დაბრუნებულიყვნენ: დეე, რაც უნდა მოგვივიდეს, ვცადოთო. წინანდელი თავისი ადგილები თათრებს ეხლა აოხრებული დაჰხვდათ; მიწები რუსეთიდან გადმოსახლებულთათვის იყო დანიშნული, სახლები დანგრეული იყო, ტყეები გაფუჭებული და ყველა ამ უბედურების მიზეზად თათრები სომხებს სთვლიდნენ. გარდა წინანდელის მიწების დაბრუნებისა თათრებისთვის სხვა არაფერი არ გაკეთებულა.

განსაკუთრებით აღელვებდა თათრებს სამუშაო ხელფასის უთანასწორობა ბაქოს სამრეწველოებში ქრისტიანებისთვის და მუსულმანებისთვის. ქრისტიანს დღეში ექვს აბაზს აძლევდნენ, თათარს კი მხოლოდ თოთხმეტ შაურს. თათრები ამ უთანასწორობას იმითა ჰხსნიდნენ, რომ სამრეწველოთა ადმინისტრაციის დიდი უმრავლესობა სომხები იყვნენ. აი, საიდან წარმოსდგა უმთავრესად ბაქოს ხოცვა-ჟლეტა.

სომხის ბურჟუაზიას, რა თქმა უნდა, ასეთი მსჯელობა ფრანგულის გაზეთისა არ მოეწონება. ამ ბურჟუაზიის იდეოლოგებს ენის წვერზე დაუხვევიათ ერთი სიტყვა: „პანისლამიზმი“ და ჩამოვარდება თუ არა ლაპარაკი სომხებისა და თათრების ომიანობის შესახებ, მაშინვე მთელს ქვეყანას აშინებენ, თათრებზე თუ ეხლავე ძალა არ ვიხმარეთ და ხმა არ ჩავაკმენდინეთ, მალე სომხების გარდა სხვა ერებსაც დაერევიან, რადგან ისინი პანისლამისტები არიან და ყველას ამოელეტენო. რაც უნდა იყვირიან, ფაქტი მაინც ფაქტად დარჩება და ეკონომიურ მიზეზების გახვევას ყალბ პანისლამიზმის სამოსელში არავინ სერიოზულად არ დაიჯერებს.

გაზეთ „ცნობის ფურცლის“ რედაქციისაგან:

რედაქცია აუწყებს იმას, ვისაც წლის მეორე ნახევრის ფული არ შემოუტანია, დროზე შემოიტანოს, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა მოესპობა 1 ღვინობისთვეს. ამასთან სთხოვს რედაქცია ხელის მომწერს, ფულის გამოგზავნის დროს გამოგზავნოს აგრეთვე ბანდეროლიანი ნამდვილი ადრესი.

თეატრი

ქართული წარმოდგენა („ლალატი“, დრამა სუმბათაშვილისა. 26 სექტემბერი). ხანგრძლივის მოლოდინის შემდეგ დაიწყო სეზონი ქართულ წარმოდგენებისა. გვეგონა, ამ პირველ წარმოდგენას დიდძალი ხალხი მიაწყდებოდა, მაგრამ ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა: თეატრი ნახევრად ცარიელი იყო. არც საკვირველია: ამ უკანასკნელ დღეების ამბებმა ყველას ნერვები აუშალა, ქუჩაში გავლის დროს ყველა გაფაციცებით აქეთ-იქით იყურება და სულ სხვა რამეზე ფიქრობს. დღევანდელმა მოძრაობამ თეატრი ბევრს დაავიწყა, რადგან ადამიანის აზრი და გონება ამჟამად სხვათა გატაცებული და თეატრისთვის მაგდენად აღარა სცალიან. ხალხი ზანტად და ჩაფიქრებული შედიოდა თეატრში. აშკარა იყო, რომ აზრით სხვაგან დაფრინავდა. ლაპარაკშიაც არა ისმოდა-რა პიესისა და არტისტებზე.

ფარდა სწორედ რვა საათზე ახადა და დაიწყო „ლალატის“ წარმოდგენა. ხალხის გულჩათხრობილება არტისტებსაც გადაედოთ. იმათ თამაშს რაღაც სიზანტის, ცოტა არ იყოს, უსიცოცხლობის ბეჭედი ესვა. ისეთ გმირულ პიესისთვის, როგორც ლალატია, საჭიროა აღფრთოვანება, აღტაცებული მგზნებარება, და აი სწორედ ეს აკლდათ ამ საღამოთი ჩვენ არტისტებს. მესამე მოქმედებამ, სადაც ამ მხრივ მეტი ძალა და ღონეა საჭირო, მკრთალად ჩაიარა. სხვა მხრივ წარმოდგენას არა უშავდა-რა, პირიქით—ეტყობოდა ხანგრძლივ რეპეტიციების გავლენა, რეჟისორის ხელი და თვით არტისტების მეკადინეობა. კერძოდ თვითეულ მსახიობზე არას ვამბობთ, რადგან ისევ ძველები თამაშობდნენ და ამათ შესახებ-კი ბევრი თქმულა და დაწერილა.

რუსეთის ქრონიკა

„სალიტერატურო საქმეთა“ ახალი მოხელე. პოლიციის დეპარტამენტში დაუწესებიათ ერთი ახალი თანამდებობა. ამ მოხელეს 3,000 მანეთი ჯამაგირი აქვს და იმის მოვალეობას შეადგენს გაცნობა და შესწავლა თანამედროვე პრესისა, გამოაშკარავება ყოველისავე უწესობის და პასუხის გაცემა გაზეთებში. ეს თანამდებობა უბოძებიათ ამ ჟამად პახარნავს, რომელიც ჯერ სამხედრო სამსახურში ყოფილა, შემდეგ—სამაზრო საერობო საბჭოს თავმჯდომარედ და ბოლოს—მოსკოვის ქალაქის საბჭოს მოხელედ იყო. (რ. გედ.).

ვაჭრის საჩივარი სტესელის წინააღმდეგ. პორტ-არტურელ ვაჭარს ბიბიკოვს სენატში საჩივარი შეუტანია გენ. სტესელზე. ვაჭარი ედავება 20,000 მანეთს, რომელიც უზარალდება სტესელის მიერ უკანონოდ გაძევების გამო პორტ-არტურიდან, სადაც მისი მაღაზია და მთელი ქონება ღვთის ანაბარა დარჩენილა. (რ. გ.).

ფარმაცევტების დაჭერა. 17 და 18 სექტემბერს მოსკოვში მეორედ დაუჭერიათ ერთი ჯგუფი გაფიცულ ფარმაცევტებისა (რ. გედ.).

პოლიტიკური საქმე. ოქტომბრის დამდეგს პეტერ. სამოსამართლო პალატა განიხილავს საყურადღებო პოლიტიკურ საქმეს. [illegible] მეცნიერების კანდიდატ მალკინის, მოქალაქეს პოდვევის, ნათელ. ექიმის პროტკინის მეუღლის, ზემის ქალის პოლუბოიარინოვისას, ცეხების კოშევს, ლესნიკოვს, კოშკინს, და მედავითნეს ქალ ხუდიაკოვსკისას ჰბრალდებათ ის, რომ 13 იანვარს მონაწილეობა მიუღია პეტერბურგის პრეობრაჟენის სასაფლაოზე მომხდარ საზოგადო ყრილობაში. (რ.).

გრინგმუტი ახალი გაზეთის რედაქტორად. მოსკოვი ხმა დადის, „მოსკ. ვედ.“-ის რედაქტორი გრინგმუტი მოსკოვიდან სამუდამოდ გადადის პეტერბურგს, სადაც მას ერთ დიდ ოფიციალურ გაზეთის რედაქტორობას აძლევენ თურმე. ამასთან ერთად გრინგმუტი პეტერბურგში აღებს წიგნის დიდ მაღაზიას და წიგნების საგამომცემლო ფირმას აარსებს თურმე. (რუს).

უვარგის ჯარის კაცთა მოწონება სამსახურისათვის. ერთ არმიის კორპუსის მობილიზაციის დროს მრავალი სათადარიგო ჯარის კაცი უვარგისად უცვნიათ სალაშქროდ და განუთავისუფლებიათ. მაგრამ შემდეგ, სარდლის განკარგულებით, ხელ-მეორედ გაუსინჯავთ დაწუნებული სალდათები და 1140 დაწუნებულ ჯარის კაცში ნახევარი—568 კაცი,—ომისათვის გამოსადეგად უცვნიათ და ჯარში შეურიცხავთ. (რუს.).

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოს“ ამსტერდამიდან ატყობინებენ, რომ ჰოლანდიის გემი „სირიუს“-ი საიდუმლოდ დატვირთეს იარაღით, პატრონებით და ნახშირით და ლონდონს წავიდა; იქ კიდევ მიიღებს იარაღს, გამოიცვლის სახელს და შემდეგ საითკენ წავა, არავინ იცის. გემზე მუშად მსახურთ უარი სთქვეს, ვერ წავალთ, და სხვები იქირავეს. ეხლა გემი იუმაიდენშია და მოელის ბრძანებას, საით წავიდეს. ამსტერდამში ჰფიქრობენ, რომ ამ გემსაც, როგორც წინანდელს („ჯონ გრაფტონ“-ს), იარაღი ფინლანდიისთვის მიაქვსო.

სასამართლო

ბაქოს გუბერნატორის თავ. მ. ა. ნაკაშიძის მოკვლა.

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

დღეს, 26 სექტემბერს, ბაქოში ირჩევა თავ. მ. ა. ნაკაშიძის მოკვლის საქმე. მოგვაგონებთ მკითხველს, რომ, სამხედრო სასამართლოში მიცემულნი არიან სიმონ ზაქარიანცი, გიორგი მეირაპოვი, პეტრუს სმხიკიანცი, ლევან არუთინოვი და მინას ადამიანცი. სასამართლოს თავმჯდომარეობს გენ. მაიორი როშკოვსკი, ბრალსა სდებს პოდპოლკოვნიკი ივანოვი, ხოლო ბრალდებულთა დამცველებად არიან ნაფიცი ვექილნი ზარუდნი, (პეტერბურგიდან), ბაიკოვი, ფუნსკი, ტერ-მიქაელიანცი და ენგიბაროვი.

სასამართლოში ეს საქმე ხელმეორედ არის დანიშნული გასარჩევად. როგორც მკითხველებმა იციან, საქმე გადადო იმისთვის, რომ ზოგი მოწმე მიიმალა და სასამართლოში არ გამოცხადდა. დამნაშავეთა თქმის თანახმად, ჰბრალდებათ ის, რომ ერთმანეთში მოილაპარაკეს მოეკლათ ბაქოს გუბერნატორი თავ. მ. ა. ნაკაშიძე სამსახურის მოღვაწეობისთვის და ამ აზრით შუადღის სამ საათზე, 11 მაისს 1905 წელს, შეიარნენ ფრანგულის ქუჩაზე ქ. ბაქოში და უცდიდნენ, როდის გამოივლიდა ნაკაშიძე. როდესაც ეს უკანასკნელი დაუპირდაპირდა მათ, ესროლეს ეტლს წინდაწინვე მოტანილი ყუმბარა, რომლითაც თავადი იქვე მოკლულ იქმნა. 2. იმავე დროს იმავე ყუმბარით მოკლულ იქმნა თავ. ნაკაშიძის თანამხლებელი ესაული თაუსიშვილი და შემთხვევით იქვე მდგომნი: სპარსეთის ქვეშევრდომი მეშად-კერბალაი-ალი-ოღლი და ჰასან გუდული მარზა-ოღლი და სასიკვდილოდ დაჭრილ იქმნა მეეტლე მეშადი-იბრაჰიმ-ოღლი. გასამართლებულ იქმნებიან ომიანობის დროის კანონებით. ამ საქმისთვის გამოწვეულია 87 მოწმე, მათ შორის ბრალდებულთა თხოვნით—11. საქმე გასტანს არა ნაკლებ შვიდის დღისა.

(შემდეგი იქნება)

ეხლა მკითხველი ხედავს, თუ როგორ ურევს ცნებებს ერთი მეორეში ბ-ნი ახმეტელაშვილი, როცა ჰგულისხმობს: არა მარქსისტიული ბურჟუაზიულია; მარქსიზმის კრიტიკა პროლეტარიატის თვალის ასახვევად მოქმედებაა და სხვ.

რად ემართება ეს ჩვენს „ორთოდოქსს“? რათა და ფეტიშისტურ დალტონიზმის გამო,—გამტყდება მე. მან იცის მარქსისტიული იდეოლოგია, როგორც უახლოესი მოპირდაპირე ბურჟუაზიულისა, მისი აზროვნების პროცესი სულ ამგვარ დაპირდაპირებაში ტრიალებს, რომელიც მას თანდათან ერთად-ერთ დაპირისპირებათ ეჩვენება, იმის გონებას აღარ შეუძლიან დაინახოს სხვაგვარი დაპირისპირებაც, უჩნდება დალტონიზმი და გულუბრყვილოდ გაიძახის: არა მარქსისტიული, ესე იგი ბურჟუაზიულიო! მეორეს მხრივ ამგვარ დალტონიზმს ფეტიშიზმი ემატება. მან იცის მარქსისტიული იდეოლოგია, როგორც სოციალისტური; ის „იცნობს“ სხვაგვარ სოციალისტურ იდეოლოგიასაც, მაგრამ მარქსისტიული თანდათან კერპად, ფეტიშად ეჩვენება. იდეალიზმის მაგიერ ჩნდება იდოლიზმი, ანუ კერპთაყვანისმცემლობა. ფეტიშიზმი უხშობს კრიტიკულ აზროვნებას, ბოლოს იქამდე მიჰყავს, რომ ნაწილი მთელად ეჩვენება, სოციალიზმი და მარქსიზმი სინონიმებად და გულუბრყვილოდ გაიძახის: სოციალიზმი, ესე იგი მარქსიზმიო.

ასეთია ტვინის ფუნქცია „ორთოდოქსისა“ და მის მსგავსებისა.

ამის [illegible] თან სდევს მეტად-დოგმატიური უსუსურობაც, როცა იგი ვითომ ჩემს წინააღმდეგ კაპიტალის კონცენტრაციაზე მოგვითხრობს. როგორ არის საკითხი დაყენებული? რადგან მე ორთოდოქსალ მარქსიზმის კლასიკურ გამომხატველად მარქს-ენგელსის ცნობილი „მანიფესტი“ მომაჩნია, ამისათვის მარქსიზმის მთავარ იდეის გამოსარკვევად მას მივმართე და ეხლაც მას მივმართავ. „მანიფესტისათვის“-კი აგრარული საკითხი, როგორც განცალკევებული საკითხი, არც-კი არსებობდა; აგრარულ ურთიერთობათ დარგი მისთვის იყო მხოლოდ ერთი შტო საზოგადოებრივ წარმოებისა, და მეტი არაფერი. „მანიფესტი“ ძლიერ მარტივად და ამისათვის ძლიერ ზოგადად აყენებდა კითხვას. მისის აზრით, ეკონომიურ ვითარებაში არსებობს ერთად-ერთი მძლავრი ტენდენცია: თანდათანი კონცენტრაცია კაპიტალისა და ამასთან თანდათანი გაპროლეტარება წვრილ მესაკუთრეთა. თვით ტენდენციას, როგორც ერთგვარ მოვლენას, ადამიანი აცალკევებს გონებაში უთვალავ სხვა მოვლენიდან და გონების თვალით უყურებს, თუ რა მსვლელობას მიიღებს აღნიშნული ტენდენცია. ეს არის აუცილებელი ფუნქცია აზროვნებისა, რომ უფრო ნათლად გავითვალისწინოთ რომელიმე მოვლენა. მაგალითად, შეიძლება ცხოვრებაში კაპიტალიზმი, როგორც ერთგვარი მოვლენა, დასრულებული სრულიადაც არ იყოს, მაგრამ ჩვენ გონებით (Мысленно) წარმოვიდგენთ მის დასრულებულ ტენდენციას, რომ ამით შევძლოთ მივუგოთ კითხვაზე, თუ რა არის კაპიტალიზმი. სწორედ ასევე უნდა მოვიქცეთ კაპიტალის კონცენტრაციის და წვრილ მწარმოებელთა გაპროლეტარების პროცესის წარმოდგენის დროს. მაშინ ჩვენ მივალთ შემდეგ დასკვნამდე: თუ იგი არის ერთად-ერთი მძლავრი ტენდენცია მთელს ეკონომიურ ვითარებაში, თუ მას ხელს არ უშლის რომელიმე სხვა ტენდენცია, ტენდენცია ეკონომიურივე, მაშინ იგი გონებრივ გამოანგარიშებაში (ზემო აღნიშნულ მნიშვნელობით) მიაღწევს ისეთს საზღვარს, რომელსაც რუსები Предѣльный моментъ-ს ეძახიან, სადაც ყოველი შუათანა (промежуточная) ფორმა წარმოებისა გაქრება და ამის თანაბარ ყოველ შუათანა საზოგადოებრივ ჯგუფის პოლიტიკური როლი დაკარგულია, ანუ, სოციალ-პოლიტიკურ ენით რომ გამოვთქვათ, სადაც, ერთის მხრივ, სდგას უმრავლესი ჯგუფი საკუთრებას მოკლებულთა და მეორეს მხრივ—უმცირესი ჯგუფი მესაკუთრეთა, და სადაც—ენგელსის სიტყვით—შესაძლებელია „გადახტომა აუცილებლობის სამეფოდან თავისუფლების სამეფოში“. სწორედ ასეთია ფორმულა ორთოდოქსალ მარქსიზმისა, რამდენადაც იგი გამოხატულია მარქს-ენგელსის „მანიფესტში“.

მე კი მგონია, რომ ამგვარი წარმოდგენა ეკონომიურ ვითარებისა ცალმხრივია და დაშორებული თვით ცხოვრების პროცესს, ზემოაღნიშნული ტენდენცია უეჭველ არსებობს საზოგადოებრივ წარმოებაში, მას ეწოდება: კაპიტალისტურ ტიპს ეკონომიურ ევოლუციისას. მაგრამ ის არ არის ერთად ერთი მძლავრი ტენდენცია. მის გვერდით არსებობს სხვა, წინააღმდეგი ტენდენცია, რომელიც შეიძლება იწოდებოდეს, როგორც არა კაპიტალისტური ტიპი ეკონომიურ ევოლუციისა, და ეს ტენდენცია, ჩემის აზრით, არსებობს საზოგადოებრივ წარმოების ერთს დიდს დარგში, ანუ აგრარულ ვითარებაში. რადგან კაპიტალისტური ტიპი ეკონომიურ ევოლუციისა არ არის ერთად-ერთი, ამიტომ გონებრივ გამოანგარიშებით ვერც ის ტენდენცია მიიღებს ზემოაღნიშნულ სწორ ხაზიან მიმართულებას, როგორც ეს „მანიფესტის“ აზრით მიხედვით უნდა მოხდეს. ამისთვის, როცა კაუტსკი ერფურტის პროგრამის მეხუთე გამოცემის წინასიტყვაობაში ამბობს: „თვითონ კონცენტრაცია კაპიტალისა იწვევს მოთხოვნილებას წვრილ წარმოებათა გამრავლებისას და ხელს უწყობს მით წარმოშობას“. კონცენტრაცია კაპიტალისა-კი არ ჰქრობს მთლად წვრილ წარმოებას, არამედ უფრო ჰქმნის ძველის ადგილზე ახლებს“,—მე დამრჩენია ვთქვა, რომ იგი სრულებით გვერდს უხვევს მარქსიზმის იმ ცენტრალ ფორმულას, რომელიც კლასიკურად გამოხატულია მარქს-ენგელსის ცნობილ „მანიფესტში“. ეს იყო და ეს არის ჩემი აზრი კაპიტალის კონცენტრაციაზე.

ეხლა ვიკითხოთ, როგორ მოიქცა ბ-ნი ახმეტელაშვილი? რადგან მე კაპიტალის კონცენტრაციის ზემოაღნიშნულ განსაზღვრით ვეყურებ, მას უფიქრია: ჰა, ეს სწორედ ბერნშტეინიანელი ყოფილაო, აუღია კაუტსკის წიგნი, ბერნშტეინის წინააღმდეგ დაწერილი და ვითომ ჩემდა დასამარცხებლად, თითქოს სულ იქიდან ამოუღია ყველაფერი, ქართველ მკითხველს შეიძლება უნდოდეს ამ წიგნის წაკითხვა და ამისთვის ვუჩვენებ, რომ მისი რუსული თარგმანი უკვე გამოვიდა წელს პეტერბურგში ამ სათაურით: К. Каутскій. „Сборникъ статей“, გამოცემა Львовича. გადაშალეთ ამ თარგმანის მე-52 გვერდი, სადაც იწყება ერთი თავი: „Крупное и мелкое хозяйство“, და ნახავთ თითქმის ყველაფერს, რასაც ბ-ნი ახმეტელაშვილი სწერს. კაუტსკის მოჰყავს ციტატი „კაპიტალი“-ს პირველ ტომიდან (იხ. „ისტორიული ტენდენცია კაპიტალისტურ დაგროვებისა“) შესახებ ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციისა და უწოდებს ამ გამოხატვას კლასიკურ ფორმას. ჩვენს „ორთოდოქსს“, მგონი, ვერ მოუხერხებია ამ ადგილის გადმოთარგმნა, [illegible] ქართული ენა, გადმოუღია [illegible], ასე რომ ადამიანი მის წაკითხვაზე უთუოდ ენას მოიტეხს, და ბოლოს ისიც კაუტსკისავით დასძენს,—ეს არის კლასიკური (?) ფორმა „[illegible]“. მარქსის ჯვარზე ცმის შემდეგ იგი შესდგომია კაუტსკის წამებას, ვერც აქ მოუხერხებია გადმოთარგმნა და აქაც იმ ენას სტეხს სიტყვებით და ფრაზებით „გამომეტყველებითაც“ იგი. შემდეგ მოჰყოლია სტატისტიკურ ცნობების ამოწერას, და მართალი მოგახსენოთ, კიდეც გამიკვირდა სისწორით ამოწერა ციფრებისა იმ კაცის მიერ, რომელსაც თავის სადოქტორო დისერტაციის ხელნაწერში საქართველო სტატისტიკით ინდუსტრიის მხრით უფრო განვითარებული გამოვიდა, ვიდრე თვით საქსონია და ამ ციფრებით ცდილობს, ვითომ მე გამამტყუნოს, მაგრამ „ორთოდოქსმა“ ის კი არ იცის, რომ ეს ციფრები მე სრულებით არ შემეხება, რადგან ამოღებულია ინდუსტრიის დარგიდან, სადაც მეც მჯერა კაპიტალის კონცენტრაცია, მხოლოდ—როგორც კაუტსკი იმავე წიგნში ამბობს—მე მესმის იგი cum grano salis. წერილის ბოლოში ბ-ნი ახმეტელაშვილი სვამს ისეთს კითხვას, როგორც კაუტსკი: მაგრამ მეურნეობა? და ამაზე შემდეგში გვპირდება მოლაპარაკებას. მოვუცადოთ, რას გვეტყვის.

ჩვენს „ორთოდოქსს“ თავის წერილში ორიოდე თავისი აზრიც აქვს. ეს არის, ერთის მხრივ, კრაუზეს ერთ-ერთის საგანგებო დებულება, რომელიც თურმე ლეპინცკიმაც უთვალა და მე არ ვიცოდი. ამისათვის მადლობას ვწირავ ჩვენს „ორთოდოქსს“.

მეორე მისი აზრი, როცა იგი ჩემზე სწერს: „ეს ახალგაზდა ვაჟბატონი „ცნობის ფურცლის“ ფელეტონში ისე ავტორიტეტულად ფახი-ფუხობს, გეგონებათ მთელი კათედრის მეცნიერება გადაუყლაპიაო“. ამაზე შემდეგს მოვუგებ: ჩემის აზრით, ყოველი ნამდვილი მოაზრე, დარწმუნებული თავის შეხედულებაში, უთუოდ ავტორიტეტულად მსჯელობს; ეს აკლია მხოლოდ იმათ, ვინც მშიშარაა მსჯელობაში. მეორეს მხრივ, რაც შეეხება „მეცნიერების გადაყლაპვას“, მე არ ვიცი და შეიძლება ბ-ნ ახმეტელაშვილს კი ენახოს, რომ ამ ყლაპვისაგან რამე გამომდინარეობს.

მესამე: ჩვენი „ორთოდოქსი“ კაუტსკის კიდეც იმეორებს და კიდეც აწვრილებს. იგი სწერს: „კაპიტალის კონცენტრაციის ფორმა და სიჩქარე არ შეუძლიან უბრალო მომაკვდავს წინდაწინვე იწინასწარმეტყველოს, თუნდაც იგი ბ-ნ „ბ. კ.“-სავით ღრმათ ფილოსოფიურათ განბრძნობილი იყოს“. ჯერ ერთი, კაუტსკი ლაპარაკობს პრინციპიალურ შეუძლებლობას ამგვარ წინასწარმეტყველობისას, ასე რომ აქ ლაპარაკი მომაკვდავებსა და უკვდავებზე ბ-ნ ახმეტელაშვილის მოგონილია. მეორე, აღსანიშნავია, რომ ბ-ნი ახმეტელაშვილი ორ სიტყვას ვერ წაიხამს ისე, რომ უბრალო მომაკვდავებსა და უკვდავებზე არაფერი სთქვას; ჩემის აზრით, ეს ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ ბ-ნ ახმეტელაშვილის თავში ღრმა ფესვები აქვს გამდგარი ავტორიტარულ ტიპს აზროვნებისას, რომლისაც ადამიანნი ორ ნაწილად იყოფებიან: ერთის მხრივ, ზეცით მოვლენილი და მეორეს მხრივ—უბრალო მომაკვდავნი. საბრალო „ორთოდოქსის“ მხრით ასეთი აზროვნება მისახვედრია.

ბ. კ.

იმერეთის სამღვდელოების კრება

24 სექტემბერს კრება დილის ათ საათზე დაიწყო. თავმჯდომარეობს იგივე მ. ფანცხავა. მეტისმეტი ყვირილით თავმჯდომარეს ხმა სრულებით წასვლია. კრებამ მოისმინა წარსულ კრებაზე არჩეულ კომისიის მოხსენება, რომელსაც დავალებული ჰქონდა მიღება საეკლესიო ნივთების საწყობისა და სანთლის ქარხნისა, მაგრამ რადგან ამ მოხსენებას ბევრი სუსტი მხარე აღმოაჩნდა და საქმე კი თხოულობდა უფრო დაწვრილებით შესწავლა-გაცნობას, ამისათვის ამ საქმის უფრო დაწვრილებით გამოსარკვევად და უფრო ვრცელ მოხსენების შესადგენათ კრებამ ახალი კომისია აარჩია. მედავითნემ ი. მოდებაძემ თავმჯდომარეს საყვედურით მიმართა: „მესამე დღეა აქა ვართ სოფლიდან ჩამოსული, ჩვენც ცოლშვილის პატრონი ვართ. თქვენ რომ ტირით, არაფერი გვაქვსო, ჩვენც უარეს მდგომარეობაში ვართ. გვპირდებით ჩვენ შესახებ საკითხის აღძვრასა და განხილვას და ვერ ვეღირსეთ". ეს შენიშვნა სამართლიანი იყო და კრებამ ერთ ხმად მოითხოვა მედავითნეების შესახებ საკითხის განხილვა. იგინი თხოულობდნენ სიტყვის უფლებას სამღვდელოების კრებებზე და სამრევლო შემოსავლიდან ერთი მესამედის მიცემას, მეოთხედის მაგივრად.

ა. ცინცაძე (მედავითნე). მამებო! ჭირსა და ლხინში თქვენთან ვართ, ცხოვრების მწარე უღელს თქვენზე მეტს თუ არა, ნაკლებს არ ვეწევით, სკოლის შესანახია თუ სხვა რამ თქვენთან ერთად მონაწილეობას ვიღებთ: ვიკრიბებით თქვენთან, გვინდა ხმის ამოღება, რომ გაგაგებინოთ ჩვენი გულის ტკივილი, ჩვენი მწუხარება, მაგრამ ვერ ვბედავთ, რადგან ლაპარაკი აკრძალული გვაქვს. ეხლა ვთხოულობთ მოგვეცეს კრებებზე სიტყვის უფლება. თუ ჩვენ თქვენთვის არა ვართ საჭირო, გვირჩევნია გვერდში ამოუდგეთ იმ მშრომელ ხალხს, რომელიც მიისწრაფვის მონობის ბორკილის დამსხვრევისაკენ და მათთან მაინც ვიქნებით პირნათლად. ამას გარდა ვითხოვ სამრევლო შემოსავლიდან მოგვეცეს მესამედი მეოთხედის მაგივრად.

ორატორი ტაშის ცემით დააჯილდოვეს. მღ. ს. ბოჭორიშვილი დაეთანხმა ბ-ნ ცინცაძეს. მართლაც სახელი დიდი აქვთ და სახრავი ცოტაო, მასთან ვიძახით, არაფერი გვაქვს შემოსავალი, მრევლი არას გვაძლევს და ჩვენ მაინც უარს ვეუბნებით მესამედის მიცემაზე. თუ არაფერი შემოგვდის, ამ არაფრიდან მივცეთ ეს მესამედი და ამით მაინც მოვიმადლიეროთო.

კრებამ დაადგინა მიეცეს მედავითნეებს სამრევლო შემოსავლიდან ერთი მესამედი. რაც შეეხება ხმის მიცემის უფლებას, ეთხოვოს ყოვლად სამღვდელოს შუამდგომლობა აღძრას, ვისთანაც ჯერ არს, რათა მედავითნეებს მიენიჭოთ ხმის უფლება სამღვდელოების კრებებზე.

კრებამ მოისმინა სასინოდო კონტორის მოხსენება, რომელიც შეეხება სინოდის მიერ ქუთაისში შეძენილ ადგილს, რომელზედაც სემინარიის შენობა უნდა აეგოთ. როგორც მოხსენებიდან სჩანს, სინოდის განკარგულებით რადგან სემინარია სამუდამოდ დაიხურა, ეს ადგილი უნდა გაეყიდათ, მაგრამ ეპისკოპოსს ლეონიდს შუამდგომლობა აღუძრავს ადგილი იმერეთის სამღვდელოებას დაეთმოს. ამის გამო ექსარხოსი ეკითხება ეპისკოპოსს, რა საჭიროებისთვის სურს სამღვდელოებას ამ ადგილის შეძენა და რა პირობებითაო? ყველა ეს მიწერ-მოწერა ეპისკოპოსმა კრებას გადასცა განსახილველად და ურჩევდა, უსათუოდ შეიძინეთ, არ გაუშვათო. მოისმინეს რა ეს, ასტყდა ყვირილი: არ გვინდა, არ გვინდაო. საეპარქიო სამმართველოს მდივანმა ე. ს. ხუთბერიძემ განმარტა, რომ ის ადგილი სულ 3500 ოთხკუთხ საჟენს უდრის. საჟენში 1 მან. და 80 კაპ. მისცეს. ამ ერთი წლის წინად აძლიეს 4 მან. აძლიეს, მაგრამ არ გაჰყიდეს. დღეს ადგილის ფასმა უფრო აიწია, მდებარეობა კარგი აქვს, ქუჩის პირად და გარდა ამისა იმ მიდამოებში ეხლა რკინის გზაც გაჰყავთ რაჭა-ლეჩხუმისაკენ და მაშასადამე ფასი უფრო აიწევსო. კრებამ დაადგინა შეიძინოს ადგილი. შემდეგი საკითხი ბლაღოჩინების კენჭის ყრით არჩევას შეეხებოდა. შეკრებილ ცნობებიდან აღმოჩნდა, რომ ამ საგანზე საქმე უკვე სწარმოებს და გაგზავნილია, სადაც ჯერ არს, განსახილველად.

კრებამ მოისმინა მოხსენება ხაზინიდან ჯამაგირების მიღების შესახებ. დღემდის მღვდლების ჯამაგირებს ხაზინიდან ბლაღოჩინები იღებდნენ და მღვდლებს ურიგებდნენ, რასაც უკმაყოფილება და დიდი მითქმა-მოთქმა მოსდევდა. კრებამ დაადგინა, ამიერიდან მღვდლებმა ჯამაგირები ხაზინიდან თვითონ მიიღონ ხოლმე. იმის შესახებ, საეპარქიო-საეკკლესიო საქმეების წარმოება რუსულ თუ ქართულ ენაზე წარმოებდესო, კრებამ დაადგინა, ამიერიდან ყოველგვარი საეპარქიო საეკკლესიო საქმე ქართულ ენაზე იწარმოებოდესო. კრებამ დაადგინა, მოვითხოვოთ სასინოდო კანტორიდან იმერეთის ეპარქიის 55 ათასი მანეთი, რომელიც იქ ინახებოდა, (ეს ფული კანტორის ხაზინადარს არდაზიანს გაუფლანგავს სხვა ფულთან ერთად). კრებამ დაადგინა: ვითხოვოთ ნება მოგვეცეს საეკლესიო წიგნები ჩვენ თვითონ ვბეჭდოთ, რადგან წიგნების შეძენა ძვირად ჯდებაო. საკითხი იმის შესახებ, მივიღოთ თუ არა მთავრობის მიერ ხმალ-ხანჯლით შეკრებილი სამრევლო დრამაო, კრებამ ერთხმად უარ-ჰყო და დაადგინა: ძალ-მომრეობით შეკრებილ დრამას ხელი არ მოვკიდოთო.

დასასრულ კრებამ აარჩია ათის კაცისაგან შემდგარი კომისია და დაავალა სამღვდელოების ყოველგვარ საქმის წარმოება. ამით დასრულდა იმერეთის სამღვდელოების კრება.

წერილები

ლეჩხუმი. სადადიშკელიანო სვანეთიდან დაბრუნდა ჯარის კაცთა გამომწვევი კომისია. სვანები ნაკლებად ეკარებიან ამ კომისიას. სვანები არჩეულ კაცებით განაგებენ თავიანთ ბედ-იღბალს და კმაყოფილნიც არიან. წინეთ სვანეთში ქურდობა ძალიან ხშირი იყო. ეხლა იშვიათი გახდა. თუ ვინმემ ქურდობა ჩაიდინა. სასტიკათ სჯიან. აკეთებენ გზებს და აგებენ ხიდებს. მაგრამ სვანები და საზოგადოდ ლაშხეთი შიმშილის კარამდე მიიყვანა ბუნების მკაცრმა მოვლენამ. მთელი ლაშხეთი ისე დასეტყვა, რომ პურს, ქერს და ქუბას მარცვალი არ შეარჩინა და ისედაც ღარიბი სვანები თვალ-ცრემლიანი დასტოვა. არც ლეჩხუმია კმაყოფილი წლევანდელ მოსავლით და ზემოჩოვლები სულ იმას გაიძახიან, ნუ თუ კაცთან ერთად ცამ და მიწამაც მოგვიძულაო.

ლაშხეთში ამას წინად ერთ გლეხს განსვენებული მამუ გელოვანის შესახებ რაღაც საყვედურიანი სიტყვა წარმოუთქვამს. სვანები ისე გაუბრაზებია ამ სიტყვას, რომ კინაღამ მოუკლავთ, მაგრამ ბოლოს ისევ დამშვიდებულან, ჩაუბამთ თოკი კისერში და მთელი სოფელი ჩამოურონიებიათ ბოდიშის მოსახდელ სიტყვების ძახილით.

ნადელების გადახდის დრომაც მოაწია, მაგრამ ლეჩხუმ-სვანეთის გლეხობა ძლიერ ცივ უარს აცხობს.

ლეჩხუმელი ბანოვანი.

ქ. თელავი. თელავის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლენიც გაიფიცნენ, როგორც სამოქალაქო სასწავლებლისა. 20 ენკენისთვეს, ვიდრე გაკვეთილები დაეწყობოდათ, ლოცვის შემდეგ, სასწავლებლის ზედამხედველს გადასცეს მოთხოვნილებანი და წყნარად დაიშალნენ. მოთხოვნილებანი ისეთივეა, როგორიც 22 მარტს გაფიცვის დროს წარდგენილი, და 19 მუხლს შეიცავს. ჯერ თვით მასწავლებელნი ესაუბრნენ მოსწავლეებს და ურჩიეს, სწავლა განეგრძოთ, რათა ამას სკოლის დაკეტვა არ მოჰყოლოდა და რაც შეეხება მოთხოვნილებებს, ეხლავე შუამდგომლობას აღვძრავთ დაგაკმაყოფილოთო; მერე სამღვდელოების კრებამ მიიწვია მოსალაპარაკებლად. მოსწავლეებმა თავიანთი დეპუტატები გაჰგზავნეს. კრებამ ურჩია, სწავლა დაიწყეთო, ჩვენ თვითონ ვთხოულობთ ეხლა რეფორმების შემოღებასო, მაგრამ მოსწავლეთ უპასუხეს, თუ ჩვენ მოთხოვნილების 6 მუხლს, სახელდობრ: 1. გაფიცვისთვის არავის დასჯა, 2. ბერძნულ ენის მოსპობა, 3. სლავიანურ ენის გაუქმება, 4. სასწავლებლის გარედ ზედამხედველობის მოსპობა, 5. წირვა-ლოცვაზე სიარული არ იყოს სავალდებულო და 6. თავისუფლად სიარული თეატრებში; თუ ამას ეხლავე არ შეგვისრულებთ, სწავლის დაწყება ყოვლად შეუძლებელიაო. რაც შეეხება დანარჩენ მუხლებს, შუამდგომლობა აღძარით მის დასაკმაყოფილებლადაო. რადგან ამ მუხლების ასრულება სასწავლებლის გამგეობისაგან არ არის დამოკიდებული, ამიტომ მასწავლებელთ ბჭობა მოახდინეს; გაფიცვის შესახებ ზედამხედველი ტფილისში მიემგზავრება, ხოლო ექსარხოსს დეპეშით აცნობეს გაფიცვის ამბავი.

22 სექტემბერს დასრულდა კახეთის სამღვდელოების წარმომადგენელთა კრება, რომელიც ხალხის დაუსწრებლად მოხდა. კრებას თელავის სასულიერო სასწავლებლის 1906 წლის შესანახი ხარჯთ-აღრიცხვა მიუღია, თუმცა ამისი წინააღმდეგნი ყოფილან სიღნაღ-თიონეთის სამღვდელოების წარმომადგენელნი, ამათ მოეთხოვათ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვაზე უარის თქმა და სასწავლებლის დაკეტვა. მაგრამ, ცხარე კამათის შემდეგ, როგორც იყო, ხარჯთ-აღრიცხვა მიუღიათ და რაც შეეხება რეფორმებს, განუხილავთ სასწავლებლის მასწავლებელთაგან შემუშავებული რეფორმები, გადაუკეთებიათ ზოგიერთი მუხლი და დაუდგენიათ, ეთხოვოს მთავრობას შემოიღოს ეს რეფორმები, თუ არა და სასწავლებელი დაიკეტოსო.

დიმიტრაშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ

მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენის გაზეთის ერთ-ერთ №-ში დაიბეჭდოთ შემდეგი:

„ცნ. ფ."-ის № 2911-ში ახალ ამბად დაბეჭდილია ერთი ცნობა, რომელიც სრულიად მოკლებულია სიმართლეს. სწერია შემდეგი: „დუშეთის მაზრის სოფ. დამპალოში დგანან ყაზახები. ამას წინად ს. ძალისში გლეხებმა გაჰკაფეს ესტ. მუხრანსკის ტყე. რადგან თავის ნებით არ მოისურვეს ზარალის ზღვევა, გლეხებს ძალით გადაახდევინეს: წაართვეს საქონელი და გაყიდვა დაუწყეს, მაგრამ გარშემო სოფლელებმა არ მოისურვეს ამ საქონლის ყიდვაო."

დაბეჯითებით ვაცხადებ, რომ მე არავისთვის არ მიმიმართავს თხოვნით ყაზახების გამოგზავნაზე და ზარალის ძალით გადახდევინებაზე. პირიქით, მე გამოვუცხადე მემამულეთა ზარალის გამომრკვეველ კომისიას, რომ უარს ვამბობ და გლეხთ ზარალს არ ვაზღვევინებ მეთქი, რადგან ვიცი მათი შევიწროებული მდგომარეობა და რადგან იმედი მაქვს, ამიერიდან აღარ განმეორდება მემამულეთა დარბევა. ამიდანაც სჩანს (და ეს ასეც იყო), რომ ჩემის თხოვნით არავის გლეხთა საქონლის გაყიდვა არ განუზრახავს და არც გაუყიდნიათ არავისთვის საქონელი.

მიიღეთ და სხვა, თვ. ესტატე დავითის ძე

ბაგრატიონ-მუხრანსკი

დეპეშა

საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 27 სექტემბერი. დღეს, ჩენგერის თავმჯდომარეობით, დაიწყო შავი ქვის მრეწველთა კრება. მდივნად არჩეულ იქმნა მდივანი. დაადგინეს იშუამდგომლონ, ნება დართულ იქნას კამათი ქართულ ენაზე.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

26 სექტემბერი

პეტერბურგი. გაზეთების ცნობა, ვითომც „ფარმაცევტების [illegible] საზოგადოება" დახურულიყოს, მტკნარი სიცრუეა.

ვარშავა, 26 სექტემბერი. გუშინ მარიამპოლსა და სუვალკს წავიდა სესია ვარშავის სამოსამართლო პალატისა რამდენიმე პოლიტიკურ საქმის გასარჩევად. 24 სექტემბერს შემდგარმა სტუდენტების ყრილობამ ვერავითარი დასკვნა ვერ გამოიტანა. ვარშავის მაგისტრატმა დაადგინა, მომავალ წლიდან გახსნას 8 სავაჟო და 6 საქალებო პირველდაწყებითი სასწავლებელი.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა უნივერსიტეტების საბჭოების შუამდგომლობა მიმდინარე წელს უნივერსიტეტებში ებრაელების უპროცენტოთ მიღების შესახებ.

ადისა. სოფ. დალნიკში ნიაღვარი მოვარდა. წარიტაცა მრავალი შენობა, ადამიანებიც არიან დაღუპულნი. სოფელში წავიდა გრადონაჩალნიკი ნეიდგარდი, დაარსდა დამხმარებელი კომიტეტი და დაზიანებულთ 300 მ. მისცა. იქვე შეკრიბეს 100 მ. შენობები დაუზიანებლად. საშინელი მდგომარეობაა.

ლონდონი. „ხრონიკლ"-ი იუწყება, რომ ბრიტანიის სამხედრო სამინისტროს განზრახვა აქვს დაარსოს ნაციონალური არმია 250 ათას კაცისაგან. ეს ჯარი იმოქმედებს შეერთებულ სამეფოს გარეშე.

პეტერბურგი., 26 სექტემბერი. ნავთის მრეწველთა მეოთხე სხდომა შესწორებს საწვავ მასალის საკითხს. უმეტესობა წინააღმდეგი იყო საზღვარ-გარეთიდან უბაჟოდ ნახშირის შემოტანისა, რადგანაც რუსეთს საკმაოდ აქვს ნახშირი.

მონტელიონი (კალაბრია), 26 სექტემბერი. გუშინ აქ ძლიერი გრგვინვა გაისმა ქვესკნელში. მცხოვრებნი შიშის ზარი დაეცა.

პეკინი. ჩინეთში დაარსდა პოლიციის სამინისტრო, რაც ამას წინად სახელმწიფო პირების მოკვლის განზრახვითაა გამოწვეული. მთავრობას არ მიაჩნია ქვეყანა უზრუნველ-ყოფილად.

26 სექტემბერი.

მოსკოვი, 26 სექტემბერი. დაწვრილებითი ცნობები არეულობისაგან დაშავებულების შესახებ არა აქვს პოლიციისაც-კი. უმეტესობა მსუბუქად დაჭრილი და თავიანთ ბინაზე წავიდნენ. პოლიციაში მოკლულები არაა. ჟანდარმი ჭრილობისაგან გარდაიცვალა. მძიმედაა დაჭრილი 3 ყაზახ-რუსი და ერთი გოროდოვოი, მსუბუქად 20 გოროდოვოი. დღეს ქუჩებში სიმშვიდეა საღამომდის. შეიპყრეს 192 კაცი, სატუსაღოში ჩაამწყვდიეს 65. დანარჩენები გაანთავისუფლეს. ორეხოვო-ზუევოში 200 ყაზახ-რუსი გაიგზავნა, რადგანაც იქ მუშებში ღელვა დაიწყო.

განჯა, 26 სექტემბერი. ზანგეზურის მაზრის უფროსი მოხსენებას გზავნის, რომ 11 სექტემბერს ყადარისხანის სომხებმა 4 თათარი მოჰკლეს. უკანასკნელებმა 16 სექტემბერს 8 სომეხი მოჰკლეს 20 სექტემბერს სომხებმა დასწვეს თათრების სოფელი ადანუსი, 21-ს თათრებმა გადასწვეს ყადარისხანის ხუტორები. მაზრის უფროსმა ბოლოს, როგორც იქნა, გაჰფანტა თათრები. წესიერება ამჟამად აღდგენილია.

პეტერბურგი. 26 სექტ. უნივერსიტეტების საბჭოებს ნება მიეცათ, როგორც უნდათ, ისე შესცვალონ განკარგულება სტუდენტების პირობით გადაყვანისა და სახელმწიფო ეგზამენების შესახებ.

დღეს კავკასიაში წავიდა მინისტრთა კომიტეტის საქმეების მმართველი ბარონი ნოლდე.

დღეს ნავთის მრეწველთა თათბირზე გადასწყვიტეს, რომ ჩქარა უნდა სამრეწველოებზე მუშაობა დაიწყებაო.

ქრისტიანია. სტორტინგმა, 101 ხმის უმეტესობით 16-ის წინააღმდეგ, მიიღო კარლსტადტის შეთანხმება.

კიევი. პროფესორებს თათბირი ჰქონდათ სახალხო უნივერსიტეტის დაარსების შესახებ და წინადადება შეიტანეს, გამართონ სისტემატიური კურსები და ცალკე ლექციები.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

26 სექტემბერი

სარატოვი. მწყემსთა კრებამ ეპისკოპოს გერმოგენის თავმჯდომარეობით საჭიროდ სცნო ურჩიოს სამღვდელოებას, უმეტადრე სოფლისას, ეკლესიებში ხალხს გააცნონ აქტი სახელმწიფო სათათბიროს შესახებ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ არჩევნების წინა აგიტაციაში, რათა სათათბიროში სამღვდელო პირები გაიყვანონ.

ბერლინი. „მატენ"-ის გამოაშკარავება დელკასეს ინგლისთან შეთანხმების შესახებ გამოგონილია.

26 სექტემბერი.

ნიუ-იორკი. გემ „ვიქტორია"-ზე მოსული მგზავრები ამბობენ, „მიკაზა" თვითონ იაპონელებმა ააფეთქეს, რადგანაც კამანდა აჯანყდაო.

იოჰანესბურგი. ხმა გავარდა, ინგლისის რადიკალებმა 15000 გირვანქა სტერლინგზე მოაწერეს ხელი და ეს კაპიტალი უნდა მოხმარდეს [illegible] „ხეტფილდ"-ის სახელით.

ბომბეი. მუშების აჯანყებამ იფეთქა, რაც ფაბრიკების დანგრევას ემუქრება. მუშები სამუშაო დროს შემცირებას ითხოვენ. მოძრაობა [illegible] გადავიდა, სადაც აჯანყებულებმა მანუფაქტურა გადასწვეს.

ბუენოს-აირესი. რკინის გზის მუშების გაფიცვის გამო ქალაქში ომიანობის დროის წესები გამოცხადდა.

ტოკიო. 2 ოქტომბერს ტოკიოს ბუხტაში გაიმართება ფლოტის დათვალიერება, რაზედაც ევროპის ყველა ფლოტებს ეყოლებათ წარმომადგენელნი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ბ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 16 სექტემბ. 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ სტ.	93,85
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,90
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,55—60
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,62½—80
ბირჟის დისკონტი	5¼—7%
4% სახელმწიფო რენტა	89
4% სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1905 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	84½
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	460
5% მე-2 შინ. სეს. მომ. ბილ. 866 წ.	352
5% გირ. მომ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბან.	286¼
5% ობლ. ტფილ. საკრედ. საზოგად.	90⅛
5½% ობლიგ. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრედ. საზოგ.	80¼
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	88⅝
5% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა	86
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ამცია	201½

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № (20 მარტი სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.) 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. მგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 429/8 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღ. 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.) 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 9 წ. (11 ს. 7 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ.) 2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 ს. (8 ს. 20 წ.).

შორაპანამდე: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა"

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში
   ღია არის დილით 10—2 საათ
   „ „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოლოპროვოდის ქუჩა, № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—8 „

განცხადებანი

ხაზალოხნო დაწესებულება
პ. ი. ავსარქისოვისა
ჰყიდის საზღვარ-გარეთულ, რუსულ და ქართულ ჯიშის ხეხილის ნერგებს.
ადრესი: Ст. Скра З. Ж. Д. Авсаркисову.
კატალოგი მსურველს უფასოდ გაეგზავნება
(5—872—5)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო
რომელიც იმყოფება მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.
დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ახლად დაბეჭდილი
სამზარეულო
ფასი 1 მან. 50 კაპ.
იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდროვს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა სურს, მიჰმართონ ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—26)

გარდაიცვალა
ტფილისის სამარხ კასის წევრი
ალექსანდრე ამირეჯიბი.
გამგეობა სთხოვს წევრებს შემოიტანონ 1 მ. 25 კაპ. (3—2)

ლანჩხუთის სამოქალაქო სასწავლებელი აცხადებს, რომ სწავლა უთუოდ დაიწყება პირველ ოქტომბრიდან. თხოვნების მიღება ყოველ დღეს შეიძლება პირადად და ფოსტით. (3—6.—3)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მსესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ვ. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლგას ქუჩაზე № 4/ა, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 445. (წ.)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»
კიოსკში
ლორის-მელიქის ქუჩა, იქ ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ქრისტე ბატონიშვილისა—პოემა ბარნაბისა	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელეთ, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—[illegible]	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
სიბრძნე ბალავარისა	—	30
ადა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	20
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან კ. გვანცელაძისა	1	—

სკოლა და სახელოსნო
ჭრა-კერვისა & ხელსაქმისა
გადავიდა
ჭამადავითის ქუჩაზე, გრიგოლაშვილის სახლებში, ბაღის პირდაპირ, № 5
მიიღებენ ქალთა ტანისამოსს შესაკერად აგრეთვე შეგირდებს ჭრა-კერვისა და ხელსაქმის შესასწავლად ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასში.
სამკერვალოს გამგე
ანა მერკვილაძისა.
(7—6)

ტფილისის საეპარქიო სიონის ტაძრის გვერდით არის საწყობი საეკლესიო ყოველ გვარ ნივთეულობათა, სადაც ყველა ნივთეულობა ისყიდება იაფად, თითქმის ქარხნათა ფასებით. იქ ისყიდება: ხატები, ჯვრები, ბაირაყები (ხორუგვი), ზანდლები, შვიდ სასანთლები-კანდელები, ფარჩეულობა და მზად შეკერილი შესამოსელნი სამღვდელო და სადიაკვნო. შეკვეთითაც შეიძლება შეიკეროს საჭიროდ და იაფად შესამოსელი დაწყებული 14 მან. ვიდრე 150 მანეთამდის, სანთლის ქარხანაშიაც შეიძლება შეკვეთა და საწყობშიაც. (0—26)

Доз. цен. Тифлисъ, 27 Сентября 1905 г.

Коч. Груз. Изд. Т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბა